ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

იფ,ფსბ-რღბჰფ

@* 2 @( bfydfhb7 @)!@ 123 (5713) afcb5 #) stshb

## @*ბფყდჰბლფყ ვფ[ფქბ სფჯ,ფ4+ როს მაკდონალდსი კვალს მივყავართ რანჩოში“

წიგნი და გაზეთი ერთად 2,5 ლარი



## შსს ოცნების“ ქალებს დაერია



გვ.3

სოზარ სუბარი რეაგირებას ითხოვს

## შეცდომის გასწორება

27 იანვრის „ახალ თაობაში“ შეცდომით იყო მითითებული წიგნის და გაზეთის ფასი, რისთვისაც გიხდით ბოდიშს. წიგნი და გაზეთი ერთად

ღირს 10 ლარი





## ვეტერანებმა პრეზიდენტის რეზიდენციასთან შიმშილობა დაიწყეს

გვ.6

რატომ არ აინტერესებს ხელისუფლებას სამშობლოსთვის თავდადებული ხალხი



გვ.4

## ექთნები ქართულ პოლიტიკაში — ეკატერინე ხვედელიძეს ნაციონალები დასცინიან, სანდრა რულოვსს — არა

## ლანა ღოღობერიძე: შევარდნაძემ ოფიციალურად გამომაცხადა მოღალატე ელჩად“

## თინა ხიდაშელი: ევროსაბჭო საქართველოს საარჩევნო გარემოს შეცვლას სთხოვს“

გვ.6



## ვფ[ფქბ სფჯ,ფ4+ ფვეყლცტყბ * კფჰბ !* ბფყდჰბლფყ





გვ.3

## სააკაშვილისთვის არჩევნებში დამარცხება კატასტროფა იქნება



გვ.5

## რას მოითხოვს გიორგი ტუღუში შემოსავლების სამსახურის უფროსისაგან

გვ.3

## კვირის ქრონიკა













გვ.2

ISSN 1987-9385

## ივანიშვილის კანტორაში წყალს რესპუბლიკელები ამღვრევენ?



ხელისუფლების წარმომადგენლები დღედაღამ იმის მტკიცებაში არიან, რომ ქართულ ოცნებაში ძალიან რთული ვითარებაა. ამტკიცებენ, რომ იქ ხალხი ერთმანეთს დაერია და მალე ოცნებისგან არაფერი დარჩება.

ამ ხმებს ისიც ამძაფრებს, რომ ოცნებაში არსებულ დაპირისპირებაზე თავად ოპოზიციაც საუბრობს. ცოტა ხნის წინ ქართული ოცნება ხმაურიანად დატოვა ნანა დევდარიანმა. ყოფილმა სახალხო დამცველმა ოცნებაში არსებულ ალიაქოთზე ბევრი ისაუბრა, თუმცა, ყველაფერი გარეთ არ გამოუტანია.

ამასთან, დაადასტურა ის ფაქტი, რომ იქ ბევრ რამეს რესპუბლიკელები წყვეტენ. დევდარიანმა დაადასტურა ის ფაქტიც, რომ მათ ოცნებაში ბევრი ადამიანის შესვლა დაბლოკეს.

## შალვა ნათელაშვილი ავსტრიაში შეხვედრებს მართავს



ევროპაში სამუშაო ვიზიტით მყოფი საქართველოს ლეიბორისტული პარტიის თავმჯდომარე შალვა ნათელაშვილი ვენაში შეხვდა და ესაუბრა ავსტრიის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელს, საგანგებო და სრულუფლებიან ელჩ მაიკლ პოსტლს. როგორც „მედიანიუსს" ლეიბორისტული პარტიიდან აცნობეს, შალვა ნათელაშვილმა მადლობა გადაუხადა ავსტრიის მთავრობას საქართველოს იმ მოქალაქეების თანადგომისათვის, რომლებიც პოლიტიკური და სხვა მოტივებით იდევნებიან რეპრესიული რეჟიმის მიერ და თავშესაფარი ჰპოვეს მეგობარ ავსტრიაში.

შეხვედრისას განიხილეს საქართველოში წინასაარჩევნო ვითარება. შალვა ნათელაშვილმა აღნიშნა, რომ ევროკავშირის პრინციპული პოზიციის გარეშე სააკაშვილის რეჟიმი კვლავინდებურად მასობრივად გააყალბებს არჩევნებს.

შეხვედრის დროს ასევე განიხილეს საქართველოსა და მთლიანად რეგიონში შექმნილი პოლიტიკური ვითარება. შალვა ნათელაშვილის შეხვედრები ვიზიტის ფარგლებში გრძელდება.

## ბაქრაძეს ცარიელი ქვაბები დაუბრახუნეს



ქართველი უმუშევრები პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძეს მწარედ გადაეკიდნენ. მისთვის ნერვების მოსაშლელად სხვადასხვა ტიპის ღონისძიებებს აწყობენ.

ამ კვირაში სპიკერს ქვაბებით მოადგნენ და ბრახაბრუხი აუტეხეს. ამ ხმაურის დონით უმუშევრები თავად კმაყოფილი დარჩნენ. არადა, ბაქრაძის გამოყვანა მაინც ვერ შეძლეს. ამის მიუხედავად, გულს არ იტეხენ და მომავალში კიდევ უფრო დიდი ხმაურით იმუქრებიან. ბაქრაძე საარყე ქვაბს მხოლოდ ერთ შემთხვევაში გადაურჩება. მან უნდა უპასუხოს უმუშევრების წერილს, რომელიც მათ სპიკერს 6 ოქტომბერს შეუგზავნეს.

უმუშევრები სპიკერს ფოჩიან კანფეტებს არ სთხოვენ. მათ იმის გარკვევა აინტერესებთ, როგორ აპირებს ხელისუფლება მათი პრობლემების მოგვარებას.

# ეჩმიაძინი 6 სადავო ეკლესიას უკვე თავისად მიიჩნევს

საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების შემდეგ მეორე ნაბიჯი საქართველოში არსებული ექვსი სომხური ეკლესიის სომხეთისათვის „დაბრუნება" იქნება. „სომხური ეკლესია მომავალშიც დაჟინებით დაიცავს სომხური ეპარქიის უფლებებს საქართველოში", – აცხადებს ეჩმიაძინის პრესსამსახურის ხელმძღვანელი, სომხური ეკლესიის სასულიერო პირი ვაგრამ მელიკიანი და საქართველოს საპატრიაქოს მიერ გავრცელებული განცხადების გამო, რომელშიც ვერცხლის ქუჩაზე მდებარე ტაძარი წმინდა ნიკოლოზის სახელობის ტაძრად არის მოხსენიებული, აღშფოთებას გამოთქვამს.



„საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ გავრცელებული განცხადება, რომელშიც თბილისში მდებარე სომხური ეკლესია სურბ ნშანის კუთვნილება სადავოდ არის წარმოჩენილი, გაუგებრობას იწვევს. მსგავსი განცხადება ძნელად აღსაქმელია, ვინაიდან წარწერები, რომლებიც ეკლესიაზეა გამოკვეთილი მისი აგების დროს, მოწმობს, რომ ეს ტაძარი სომხურია", – აცხადებს ეჩმიაძინის პრესსამსახურის ხელმძღვანელი.

მისი თქმით, გარდა ტაძარზე არსებული წარწერისა, არსებობს უამრავი დოკუმენტური დადასტურება იმისა, რომ სურბ ნშანის ტაძარი ძირძველი სომხური ეკლესიაა.

– საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ეს ტაძარი მოქმედი იყო, რასაც ასევე მოწმობს მრავალრიცხოვანი დოკუმენტური მასალა, – აცხადებს ვაგრამ მელიკიანი და აღნიშნავს, რომ საქართველოში სომხური ეკლესიების ირგვლივ შექმნილი მდგომარეობის გამო სომხური ეკლესია არაერთგზის ეცადა, საქართველოს ხელისუფლებისა და ქართული საპატრიარქოს ყურადღება ამ სფეროში არსებული საკითხისთვის მიექცია.

„დღეს ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯი უკვე გადადგმულია – საკანონმდებლო რეფორმები ჩვენს ეპარქიას რეგისტრაციისა და შესაბამისი სტატუსის მიღების საშუალებას აძლევს, რაც მხოლოდ მისასალმებელია. უკვე ამ პროცესში საქართველოში მოქმედი სომხური ეპარქიაც ჩაერთო.

ამას გარდა, სომეხი სასულიერო პირი დარწმუნებით ამბობს, რომ საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების შემდეგ მეორე ნაბიჯი საქართველოში არსებული ექვსი სომხური ეკლესიის სომხეთისათვის დაბრუნება იქნება.

„მეორე ნაბიჯი იქნება ექვსი სომხური ეკლესიის ჩვენი ეპარქიისათვის გადაცემა, რომლებზეც ქართული მხარე გვედავება. სწორედ ამ დავის გამოა, რომ სომხეთის ეკლესია ქართულ მიწაზე არსებულ თავის ტაძრებზე ვერ ზრუნავს. ბოლო ათწლეულის განმავლობაში მთლიანად დაინგრა. ახლა კი ქართული უწყებების გულგრილობისა და უყურადღებობის გამო ნგრევის პირასაა მისული სურბ ნშანის ტაძარი. ამ ტაძარში რამდენიმე ხნის წინ ხანძარი გაჩნდა. ამის გამო სომხეთის კულტურის სამინისტრომ საქართველოში მდგომარეობის ადგილზე შესასწავლად სპეციალისტების კომისია გააგზავნა. ქართველ კოლეგებთან ერთობლივი მუშაობის შედეგად კომისიის წევრები შეთანხმდნენ, რომ ამ ტაძრის გამაგრებისათვის სპეციალური სამუშაოები უნდა განხორციელდეს", – აცხადებს მელიკიანი და ხასზგასმით აღნიშნავს, რომ სომხური ეკლესია მომავალშიც დაჟინებით დაიცავს სომხური ეპარქიის უფლებებს საქართველოში.

„რაც შეეხება საქართველოში სომხური ეკლესიის მოქმედებებს მომავალში, შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ სომხური ეკლესია კვლავაც დაჟინებით დაიცავს სომხური ეპარქიის უფლებებს საქართველოში.

ჩვენ არაერთგზის განგვიცხადებია, რომ მზად ვართ ყველა ღონე ვიხმაროთ იმისათვის, რათა სომხეთში მცხოვრები ქართული სათვისტომოს სულიერ ცხოვრებას მხარი დავუჭიროთ და იმავე ნაბიჯებს ველით საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მხრიდან", – ამბობს სომეხი სასულიერო პირი.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს საპატრიარქოს მიერ ვერცხლის ქუჩაზე მდებარე ეკლესიასთან დაკავშირებით გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია:

„როგორც საზოგადოებისთვის არის ცნობილი, ახალი წლის დღეებში თბილისის ძველ უბანში, ვერცხლის ქუჩაზე მდებარე წმიდა ნიკოლოზის უმოქმედო ეკლესიაში, რომელსაც სომხები „სურბ ნშანს" უწოდებენ, გაჩნდა ცეცხლი და ტაძარი დაზიანდა. ეს ფაქტი ჩვენს გულისტკივილს იწვევს. სამწუხაროა, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით მასმედიაში გავრცელებული ინფორმაცია გარკვეულ ცდომილებებს შეიცავს.

საქართველოს საპატრიარქოს მიაჩნია, რომ ვერცხლის ქუჩაზე მდებარე ტაძარში, პირველ რიგში, უნდა განხორციელდეს გადაუდებელი გამაგრებითი სამუშაოები, შემდეგ კი უნდა შეიქმნას ერთობლივი კომისია, რომელიც ჩაატარებს არქეოლოგიურ კვლევებს და დადებს სათანადო დასკვნას. ამ საქმეში კი აუცილებლად უნდა მიიღონ მონაწილეობა როგორც საქართველოს საპატრიარქოს, ისე სომხური მხარის წარმომადგენლებმა, რათა მიუკერძოებლად განისაზღვროს ტაძრის წარმომავლობა, აქედან გამომდინარე კი – მისი კუთვნილების საკითხი.

ანალოგიური მიდგომით უნდა განხორციელდეს სხვა სადავო ტაძრების მეცნიერული შესწავლა და მხოლოდ ამის შემდეგ მოხდეს პარიტეტულ საწყისებზე მათი გადაცემა სომხეთში, ლორე-ტაშირის ეპარქიაში, საქართველოს ეკლესიისთვის, საქართველოში კი – სომხური მხარისთვის", – ნათქვამია საპატრიარქოს განცხადებაში.



## წიკლაური თავისუფალი მედიის მცველი გახდა

ამ დღეებში „ჰიუმან რაითს უოჩმა" საქართველოსთან დაკავშირებით საკმაოდ მწვავე დასკვნა გამოაქვეყნა. ამ დასკვნაში თავისუფალი მედიის მწარე ხვედრზეც არის საუბარი.

არავისთვის დასამალი არ არის, რომ კერძო მედია საქართველოში, ფაქტობრივად, სულ ლაფავს. ამ მოსაზრებას წიკლაური არ ეთანხმება. ის პირობას იძლევა, რომ მისი პარტია თავისუფალ მედიას არ შეეხება და არ შეელევა.

– კერძო მედიაზე უარის თქმა დემოკრატიაზე უარის თქმას ნიშნავს. ჩვენ კი დემოკრატიაზე უარს არ ვიტყვით, – პირობას დებს დემოკრატიის მოყვარული დეპუტატი.

## სააკაშვილ-ობამას შეხვედრაზე პოზიციაც და ოპოზიციაც დიდ იმედებს ამყარებს



მომავალ კვირაში ქართული პოლიტიკური სპექტრის ყურადღება ვაშინგტონისკენ იქნება მიმართული. სადაც საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ამერიკის პრეზიდენტ ბარაქ ობამას შეხვდება.

ამ შეხვედრაზე პოზიციაც და ოპოზიციაც დიდ იმედებს ამყარებს. ნაციონალები ფიქრობენ, რომ ამ ვიზიტის შემდეგ ამერიკა სააკაშვილს კიდევ ერთხელ დაუჭერს მხარს.

ოპოზიცია ამტკიცებს, რომ ობამა თავის ქართველ კოლეგას თითს დაუქნევს და არჩევნების დემოკრატიულად ჩატარებას მოსთხოვს. ექსპერტთა ნაწილი კი ფიქრობს, რომ ამ შეხვედრაზე საუბარი ირანს შეეხება.

რა და როგორ იქნება, ამას შეხვედრის შემდეგ შევიტყობთ. კულუარებს ალბათ არცერთი მხარე ბოლომდე არ გაამხელს. ამის მიუხედავად, ნაციონალები ისევ იმას დაამტკიცებენ, რომ ამერიკა სააკაშვილს სერიოზულად უჭერს მხარს, ოპოზიცია კი იმას დაამტკიცებს, რომ ობამამ ჩვენს პრეზიდენტს თითი დაუქნია.

## თავისუფალი საქართველო 112" -ის გადასახადის დაწესებას აპროტესტებს



პოლიტიკური პარტია „თავისუფალი საქართველო „112" -ის გადასახადის დაწესებას აპროტესტებს. როგორც პარტიის პოლიტიკური საბჭოს წევრმა ლადო ბულბულაშვილმა 27 იანვარს გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რამდენიმე დღეა მოქალაქეები მობილურ ტელეფონებზე იღებენ მოკლე ტექსტურ შეტყობინებას, რომ თუ ისინი თვის განმავლობაში დახარჯავენ მინიმუმ 5 ლარის ოდენობის ბალანსს, თვის ბოლოს ჩამოეჭრებათ სერვისის „112" საფასური 20 თეთრის ოდენობით. მთავრობის 489-ე დადგენილება.

– თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა სარგებლობს მობილური მომსახურებით და თვეში 5 ლარის ოდენობის ბალანსს ყველა იყენებს, ჩინოვნიკების პირად ანგარიშებზე ნახევარ მილიონ ლარზე მეტი შევა ყოველთვე. „თავისუფალი საქართველო" ამ ფაქტს აპროტესტებს. ეს არის ხელისუფლების მიერ შემუშავებული კიდევ ერთი ხერხი იმისა, როგორ გამოსძალონ ადამიანებს ფული. ყველა ქვეყანაში, სადაც მოქმედებს მსგავსი სერვისი, მაგალითად, 911, არის უფასო და ამაში მოქალაქე საზღაურს არ იხდის, – განაცხადა ბულბულაშვილმა.

სერვისი „112" ითვალისწინებს მხოლოდ ერთი ნომრიდან (112) ყველა სახის დახმარების გამოძახებას (საპატრულო, სასწრაფო, სახანძრო და ა.შ.).

შორენა მარსაგიშვილი

ახალი თაობა

www.atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

# „შსს ოცნების“ ქალებს დაერია

## სოზარ სუბარი რეაგირებას ითხოვს

შალვა ჯოხაძე

გუშინ „ქართული პარტიიდან“ „ქართულ ოცნებაში“ გადაბარგებული სოზარ სუბარი ივანიშვილის გუნდის წევრის ამპლუაში საჯაროდ პირველად წარდგა საზოგადოების წინაშე. „ქართულ ოცნებაში“ აქცენტს იმაზე აკეთებენ, რომ სოზარ სუბარი გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის მრჩეველია, რომელსაც ეკატერინე ლემონჯავამ მიმართა დახმარებისთვის. ლემონჯავამ სუბარს უამბო, უშიშროების წარმომადგენლებმა როგორ გაიტაცეს და მათთან თანამშრომლობას აიძულებდნენ.

**სოზარ სუბარი:**

— ძალიან ჩვეული ისტორიაა, კუდის ავტორობით ჩადენილი, რომელიც კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ უკანონობას, რაც ჩვენს ქვეყანაშია და იმ არაპროფესიონალიზმსაც, რაც შინაგან საქმეთა სამინისტროში სუფევს. ქალბატონი ეკატერინე, უბრალოდ, როკკლუბის ხელმძღვანელია, თვითონაც როკერი, მას მეტსახელიც დაარქვეს უკვე კუდ-ში — „როკერა“. ის, ფაქტობრივად, მოიტაცეს, სრულიად უკანონოდ წაიყვანეს. თანამშრომლებმა არ წარუდგინეს არავითარი საბუთი, ვინ იყვნენ, რას წარმოადგენენ. 40 წუთის განმავლობაში ჰყავდათ ჩაკეტილი შენობაში, რომელიც არ იცოდა, რა შენობა იყო. მოგვიანებით იქ მივედით და ასე გავარკვიეთ, რომ ეს არის კუდ-ის შენობა. ის ხალხი, რომელიც ლემონჯავაზე ზეწოლას ახდენდა, შალვა რამიშვილის დახმარებით ამოვიცანით. იყო მუქარა, პატივისა და ღირსების შემლახველი მოპყრობა, აგინებდნენ ყველანაირი უშვერი სიტყვებით, გენიტალიების მოხსენიებით, უთხრეს, აქედან ვერ გახვალ ისე, თუ თანამშრომლობაზე არ დათანხმდებიო. ასე მხოლოდდამხოლოდ იმის გამო მოექცნენ, რომ ერთი კვირის წინ ეს ადამიანი გახდა „ქართული ოცნების“ მხარდამჭერი, უბრალოდ, რიგითი წევრი. მას აიძულეს, დაეწერა განცხადება, მაგრამ, როგორც კი ეს განცხადება დაწერა (ბუნებრივია, ეს იქიდან გამოსასვლელად უნდოდა, თორემ არანაირად თანამშრომლობას არ აპირებდა), მაშინვე მე მომმართა, შალვა რამიშვილს დაურეკა. ეკატერინე ლემონჯავა შალვა რამიშვილთან ერთად იყო წასული იმ შენობაში და მათ გადაიღეს ის ადამიანი.

ხშირად სჩვევია ხელისუფლებას, შინაგან საქმეთა სამინისტროს, როცა ვინმეს ამოვიცნობთ, მაშინვე იტყვიან, რომ ეს ადამიანი მათთან არ მუშაობს, მაგრამ ჩვენ გვყავს სხვა მოწმეები, რომლებიც დაადასტურებენ, რომ ეს ადამიანი ნამდვილად იქ მუშაობს. თუ არ მუშაობს, ეს ნამდვილად ადამიანის თავისუფლების უკანონოდ აღკვეთაა, რაც გაცილებით მძიმე დანაშაულია. ამ საქმეს ჩვენ აუცილებლად ბოლომდე მივიყვანთ, ქალბატონ ეკას მადლობას ვუხდით გამოჩენილი სამოქალაქო გამბედაობისთვის და მოვუწოდებთ საქართველოს ყველა მოქალაქეს, ერთი წუთით არ იფიქრონ, რომ ეს ხელისუფლება რამე საფრთხეს წარმოადგენს ვინმესთვის. ვინც გაბედავს, ყველას დავიცავთ. ყველას, ვინც უკანონობას ჩაიდენს, აუცილებლად ვაგებინებთ პასუხს. „ქართული ოცნების“ იურისტები ეკატერინე ლემონჯავას დაეხმარებიან, რომ ეს საქმე ბოლომდე მივიყვანოთ და ამ ადამიანებმა აგონ პასუხი.

თავად ეკატერინე ლემონჯავა აცხადებს, რომ ეს მისთვის ძალზე დელიკატური საკითხია.

**ეკატერინე ლემონჯავა:**

— ჩემს შემთხვევაში დადგა ისეთი მომენტი, როცა ჩემი ღირსების საკითხი დადგა, როცა მე ადამიანებზე ინფორმაცია უნდა გამეცა ვითომდა სამშობლოს სამსახურის ეგიდით. ჩემმა სამშობლომ მაპატიოს, რომ ჩემთვის ჩემი ღირსება ამაზე დიდი აღმოჩნდა.

„ქართული ოცნების“ წარმომადგენელმა, იურისტმა შალვა თადუმაძემ უკვე დაიწყო აუცილებელი იურიდიული პროცედურები.

**შალვა თადუმაძე:**

— კონკრეტული თანამდებობის პირის მიერ განხორციელდა ქმედებები, რომელიც შეიცავს სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს, ჩვენ ვიმუშავებთ იმ მიმართულებით, რომ მივმართოთ ზემდგომ ორგანოებს ამ პირების დასჯის მოთხოვნით, ფაქტზე სისხლის სამართლის აღძვრის მოთხოვნით. ასევე, ჩვენ ვიმუშავებთ იმ კუთხითაც, რომ აუცილებლად მივაღწიოთ შედეგს, რათა დაისაჯოს ყველა ის პირი, რომელიც ასე უხეშად ხელყოფს ადამიანის უფლებებს.

აღსანიშნავია, რომ ეკატერინე ლემონჯავამ მთავარ პროკურორ მურთაზ ზოდელავას უკვე მიმართა განცხადებით, რომელშიც დეტალურად აღწერს, თუ რა სახის ზეწოლა განხორციელდა მასზე.



— გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის 25 იანვარს, დაახლოებით 19:00 საათზე, რუსთაველის 28 ნომერში მდებარე როკკლუბიდან, რომელსაც ვხელმძღვანელობ 2010 წლიდან, ჩემთვის უცნობმა ორმა მამაკაცმა, ძალის გამოყენებითა და ჩემი სურვილის საწინაამდეგოდ, ყოველგვარი ახსნა-განმარტებისა და საბუთის წარდგენის გარეშე გადამიყვანა იქვე, რუსთაველის 28 ნომერში მდებარე შენობაში (შემდგომში ამ პირებისგანვე გახდა ჩემთვის ცნობილი, რომ ეს იყო შსს-ს უშიშროების განყოფილება). აღნიშნულ ფაქტს შეესწრნენ როკკლუბში მყოფი ადამიანებიც.

ამიყვანეს, სავარაუდოდ, მე-4 სართულზე, შემამოწმეს მეტალოდეტექტორზე და შემიყვანეს ოთახში, სადაც მათ შემოუერთდათ მესამე პირი. ისინი შეურაცხმყოფელი ფორმითა და ლექსიკით „განმიმარტავდნენ“, რომ ჩემი იქ აყვანის მიზეზი იყო როკკლუბიდან სისტემატურად გამომავალი ხმაური, რომელიც თითქოსდა მეზობლებსა და მათ აწუხებდათ. 40 წუთის განმავლობაში სამივე მათგანი შეურაცხმყოფდა უშვერი სიტყვებით, გენიტალიების მოხსენიებით, ფიზიკური ზეწოლის მუქარით („ჩამოგიღებ კბილებს“, „თავზე დაგამხობ როკკლუბს“ და ა.შ.). ჩათვალეს რა, რომ ფსიქოლოგიურად გავტყდი, შემდეგ გადავიდნენ „გეგმის“ მეორე ნაწილზე, რომელიც გულისხმობდა შსს-ს უშიშროების სამსახურთან ნებაყოფლობით კონსპირაციულ თანამშრომლობაზე თანხმობას. ამის საპასუხოდ ვუთხარი, რომ თუკი მათი გაღიზიანების მიზეზი როკკლუბიდან გამომავალი ხმაური იყო, როკკლუბს დახურავდი. ჩემი შეთავაზების პასუხად, როგორც გაირკვა, მათი მიზანი არ იყო როკკლუბის ფუნქციონირების შეწყვეტა. მათივე განცხადებით, როკკლუბში დადიან მათთვის საინტერესო პერსონები და ჩემი თანამშრომლობა გაუადვილებდათ საქმეს. ჩემი მხრიდან უარის განცხადების შემდეგ ისინი დამემუქრნენ, რომ აღნიშნულ შენობაში შემოყვანილი არც ერთი ადამიანი არ გასულა ამ „ხელშეკრულების“ გაუფორმებლად და რომ ისინი ამას ახლა თუ არა,

რამდენიმე დღით ჩემი შენობაში გამომწყვდევის შემდეგ მაინც მიიღებდნენ. ბუნებრივია, ეს საუბარი სამივე თანამშრომლის მხრიდან მიდიოდა ძალზე დიდი ფსიქოლოგიური პრესინგის ქვეშ. განცხადება, რომელიც დავწერე, იყო დაახლოებით ამ სახის: მე, ეკატერინე ლემონჯავა ომიანეს ასული, ნებაყოფლობით კონსპირაციულად ვითანამშრომლებ შსს-სთან. განცხადებაშივე ჩამაწერინეს მათ მიერვე შემოთავაზებული ზედმეტი სახელი „როკერა“.

ამასობაში, როგორც გაირკვა, ჩემს მოსაძებნად მოსულ ნაცნობებს დაცვამ დაუმალა ჩემი აღნიშნულ შენობაში ყოფნის თაობაზე.

გამათავისუფლეს დაახლოებით 40 წუთის შემდეგ და გამაფრთხილეს, რომ ინფორმაცია უნდა ყოფილიყო კონფიდენციალური, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოვლენების განვითარებაზე პასუხს არ აგებდნენ.

მოგმართავთ, შესაბამისმა სამსახურმა დაიწყოს ზემოხსენებულ ქმედებებზე სისხლის სამართლის საქმის გამოძიება, რადგან ჩემ მიმართ განხორციელდა სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედებები, რომელთა ჩამდენები მაღალი ალბათობით იყვნენ შსს-ს თანამშრომლები. ბუნებრივია, მე არ ვიცი მათი ვინაობა, მაგრამ შემიძლია მათი ამოცნობა.

გთხოვთ, დროულად იქნენ გამოვლენილი და დასჯილი დამნაშავე პირები და აღარ მიეცეთ მათ ჩემი დევნისა და დისკრიმინაციის საშუალება, — აღნიშნავს ლემონჯავა თავის განცხადებაში.

# სააკაშვილისთვის არჩევნებში დამარცხება კატასტროფა იქნება

ხელისუფლების აქტიურობისა და ოპოზიციის პასიურობის მიზეზებზე, რა გავლენას ახდენს პრეზიდენტის აქტიურობა პოტენციურ ამომრჩეველზე, ასევე, საქართველოს ამომრჩეველთა ფსიქოლოგიური პორტრეტის თავისებურებებზე, „ინტერპრესნიუსი“ ფსიქოლოგ ნოდარ სარჯველაძეს ესაუბრა.

***— ბატონო ნოდარ, საპარლამენტო არჩევნებამდე საკმაოდ დიდი დროა, მაგრამ თუ ქვეყანა არა, სატელევიზიო ეთერი კარგა ხანია საარჩევნო რეჟიმზეა გადასული. საჯარო პოლიტიკაში ხელისუფლების უპირატესობა აშკარაა. თქვენი აზრით, რა შეიძლება იყოს ამის მიზეზი, ზოგადად, ოპოზიციის პასიურობა, ის, რომ ტელევიზიები ოპოზიციის აქტიურობას სათანადო დროს არ უთმობენ,***



***თუ ის, რომ ხელისუფლების ალტერნატივად მიჩნეული „ქართული ოცნება“ მოლოდინის რეჟიმში რჩება?***

— ალბათ ყველაფერი ერთად. მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ საარჩევნო თვალსაზრისით, ყველაზე აქტიური ფიგურა პრეზიდენტია. მას ბევრი იმას საყვედურობს, რომ რეგიონებში წარამარა დადის, ლამის ყოველდღე საავადმყოფოებს ხსნის, ტელევიზიით, თითქმის ყოველდღე, ყველა გამოშვებაში ნახევარ-ნახევარი საათით აჩვენებენ. ასეთ ვითარებაში კითხვის დასმა სხვაგვარადაც შეიძლება — შეუძლია თუ არა სააკაშვილს არ იმოქმედოს ისე, როგორც ახლა მოქმედებს და იმოქმედოს სხვაგვარად? ჩემი პასუხი ასეთია — პრეზიდენტს არ შეუძლია, სხვაგვარად მოქმედება, არ შეუძლია, არ იყოს ჰიპერაქტიური. რატომ? საქმე ის გახლავთ, რომ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ მან პრეზიდენტის ამგვარი მოქმედება თავად დაამკვიდრა და ახლა მის მიერვე დამკვიდრებული ჩვევების ტყვეობაშია. საქმე ისიცაა, რომ ახლა იგი ამას ვერ გადაეჩვევა და პირიქით, გაზრდის; მიუხედავად იმისა, რომ ეს მისთვის საზიანოც კია, იმ მიზეზით, რომ ადამიანებს ყოველდღე ეკრანზე მისი ყურება მობეზრდათ. მიუხედავად ამისა, ის ამგვარ ქცევას მაინც გააგრძელებს.

სააკაშვილს, სხვა პოლიტიკოსებისგან განსხვავებით, ძალიან ბევრი რამ აქვს დასაკარგი. მისთვის პოლიტიკიდან წასვლა პოლიტიკური სიკვდილის ტოლფასია. მის მიმართ მუქარები არა მარტო პოლიტიკაში არყოფნაზე, არამედ საერთოდ მის არყოფნაზე მოდის. სააკაშვილისადმი დამოკიდებულება ნეგატივის თვალსაზრისით ისეთივე რადიკალურია, როგორც თავად არის რადიკალური საკუთარ ქმედებებში. ასეთ ვითარებაში მას მიაჩნია, რომ მხოლოდ პოლიტიკური აქტიურობით და ხელისუფლებაში დარჩენით შეუძლია საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფა. მისი ჰიპერაქტიურობაც სწორედ ამით აიხსნება. სააკაშვილი ახლა იმ ჰიპერაქტიურ ბავშვს ჰგავს, რომელსაც აქტიურობის გარეშე არ შეუძლია. ჰიპერაქტიური ბავშვი იმიტომ კი არაა ჰიპერაქტიური, რომ მას ასე უნდა, არამედ იმიტომ, რომ მას სხვანაირად არ შეუძლია. ჰიპერაქტიურ ბავშვს რაც არ უნდა უთხრან მშობლებმა, ხოლო პრეზიდენტს ექსპერტებმა და მრჩევლებმა, ის მაინც ჰიპერაქტიურ პოლიტიკურ აქტორად დარჩება.

***— თქვენი აზრით, რამდენად ეფექტურია პრეზიდენტ სააკაშვილის საჯარო აქტიურობა და როგორ მოქმედებს პოტენციურ ამომრჩეველზე, „ქართული ოცნების“ ჩათვლით, მთელი დანარჩენი ოპოზიციის პასიურობა?***

— შეიქმნა ასეთი კონტრასტი — რაც უფრო აქტიურია სააკაშვილი, მით უფრო პასიურია და დინჯად მოქმედებს ის ოპოზიციური ნაწილი, რომელიც ივანიშვილის ბანაკშია. რაც მეტი დრო გადის, ასეთი სურათი იკვეთება — სააკაშვილი დაუღვინებელი მაჭარია. იგი დღემდე მაჭრის მდგომარეობაშია და დაღვინების პროცესში ვერ შედის. ივანიშვილი და მისი გუნდი დაღვინებულია და დინჯად და აუჩქარებლად უძღვება პროცესს.

რაც შეეხება იმას, თუ როგორ მოქმედებს საზოგადოებაზე სააკაშვილის ჰიპერაქტიურობა, დაახლოებით ისეთი ვითარებაა, ბრეჟნევის დროს რომ იყო. ტელევიზორში წარამარა ბრეჟნევს აჩვენებდნენ და ადამიანები თავის ტელევიზორს სხვა არხებზე მანამდე გადართავდნენ, სანამ ბრეჟნევის ჩვენება სავარაუდოდ დასრულებული არ იყო. ადამიანებს უკვე მობეზრებული აქვთ და კიდევ უფრო მობეზრდებათ სააკაშვილი ტელევიზორში. მიუხედავად იმისა, რომ მას ეს უკუეფექტს აძლევს, იგი მაინც არ გაჩერდება. მისი მანქანა სწორედ ამგვარ ქმედებაზეა აწყობილი და მისი გაჩერება, პრაქტიკულად, შეუძლებელია. ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ოპოზიციის პასიურობაა ეფექტური. თუ ოპოზიციის სიდინჯე ასე გაგრძელდა, არც ეს იქნება მისთვის ეფექტის მომტანი. ოპოზიციისთვის უკეთესი ის იქნება, თუ რამდენად მეტად დინჯად გააქტიურდება. ეს ყველა ოპოზიციურ ძალას ეხება.

***— თქვენი აზრით, რამდენად დიდია ალბათობა, რომ პრეზიდენტი სააკაშვილი გადადგება და „ნაცმოძრაობის“ საარჩევნო სიას სათავეში ჩაუდგება?***

— ჩემი აზრით, სააკაშვილის მხრიდან „ნაცმოძრაობის“ საარჩევნო სიის სათავეში ჩადგომა, ყველაზე ლოგიკური ნაბიჯი იქნებოდა. არჩევნებში დამარცხების შემთხვევაში მას დიდი დანაკარგი ემუქრება. დიდი დანაკარგის თავიდან ასაცილებლად ერთადერთი გზა სწორედ ამგვარი ნაბიჯის გადადგმა იქნებოდა. იმის გათვალისწინებით, რომ სააკაშვილისთვის არჩევნებში დამარცხება კატასტროფის ტოლფასია, ამგვარი ალბათობა საკმაოდ მაღალია. მისი შემთხვევა არ გახლავთ იმ ბერლუსკონის გადადგომა, რომელიც ასაკში იყო. სააკაშვილმა კარგად იცის, რომ არჩევნებში დამარცხების შემთხვევაში მის უკან მხოლოდ უფსკრულია. არ ვიცი რას ურჩევენ მას მრჩევლები, მაგრამ ახლა ყველა ნიშანია იმისა, რომ იგი ყველაფერს გააკეთებს, რომ ამ უფსკრულში არ აღმოჩნდეს. პირადად მე, ძალიან გამიკვირდება, თუ სააკაშვილი „ნაცმოძრაობის“ საარჩევნო სიას სათავეში არ ჩაუდგება.

ინტერპრესნიუსი

# რას მოითხოვს გიორგი ტუღუში შემოსავლების სამსახურის უფროსისაგან

## მეწარმეებს ზედმეტ თანხებს აწერენ

შალვა ჯოხაძე

ისედაც ათასგვარი გადასახადით შევიწროებულ მეწარმეებს კიდევ უფრო ურთულებენ ცხოვრებას და დამატებით თანხებს არიცხავენ. გაუგებარია, რატომ იწონებს თავს ხელისუფლება, რომ საქართველოში ბიზნესის წარმოება საოცრად გამარტივებულია და ბიზნესმენები სიხარულით და პრობლემების გარეშე მუშაობენ. სახალხო დამცველი გიორგი ტუღუში აცხადებს, რომ შემოსავლების სამსახური მეწარმეებს ზედმეტ თანხებს აწერს.

სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა ფინანსთა სამინისტროს სსიპ შემოსავლების სამსახურის უფროსს, შეისწავლოს მოქალაქე ვახტანგ გოგოლაძისათვის პირადი აღრიცხვის ბარათზე რიცხული საგადასახადო დავალიანების საკითხი და მიიღოს კანონშესაბამისი გადაწყვეტილება.

ვახტანგ გოგოლაძემ სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა. ის მიიჩნევდა, რომ პირადი აღრიცხვის ბარათზე რიცხული საგადასახადო დავალიანება არ ერიცხებოდა კანონიერად, რის გამოც მისი უფლებები ირღვეოდა.

სახალხო დამცველი საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესწავლის შედეგად მივიდა დასკვნამდე, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ შემოსავლების სამსახურის ახალციხის რეგიონული ცენტრის საგადასახადო მოთხოვნა მიღებული და გამოცემულია საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით, რაც, თავის მხრივ, არღვევს ი/მ ვახტანგ გოგოლაძის კანონიერ უფლებებს.

— 2007 წის 15 ნოემბერს ი/მ ვახტანგ გოგოლაძეს (ფირმა „სავანელი“) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ახალციხის საგადასახადო ინსპექციის წერილით ეცნობა, რომ მას ბიუჯეტის წინაშე ერიცხება საგადასახადო დავალიანება 1219121 ლარის ოდენობით.



აღსანიშნავია, რომ გოგოლაძეს მასზე რიცხული საგადასახადო დავალიანების ნაწილი დარიცხული ჰქონდა შპს „მუსიკალური ფონდის“ მოთხოვნით. კერძოდ, შპს „მუსიკალურმა ფონდმა“ თხოვნით მიმართა ქ. ბორჯომის ზონალურ საგადასახადო ინსპექციას, ფირმა „სავანელთან“ სასამართლო დავის დამთავრებასთან დაკავშირებით, 1993-1999 წლის ნოემბრამდე ბორჯომის კომპოზიტორთა შემოქმედებით სახლზე რიცხული დავალიანების გადაწერა განხორციელებულიყო ზემოაღნიშნულ ფირმაზე.

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა არ შეიცავს ნორმას, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი იქნებოდა ერთი გადამხდელის განცხადების საფუძველზე მასზე რიცხული საგადასახადო დავალიანების მეორე პირისათვის დარიცხვა. აღნიშნული წინააღმდეგობაში მოდის თავად საგადასახადო სისტემის პრინციპებთან. ამასთან, სსიპ შემოსავლების სამსახურისა და ი/მ ვახტანგ გოგოლაძის მიერ მოწოდებულ საქმის მასალებში არ მოიპოვება კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც, შპს „მუსიკალური ფონდის“ სარჩელი საგადასახადო დავალიანების ი/მ ვახტანგ გოგოლაძისათვის გადაწერის შესახებ დაკმაყოფილდა, — აცხადებს სახალხო დამცველი.

გარდა ზემოაღნიშნულისა, დავების საბჭოს ამ გადაწყვეტილებით, სსიპ შემოსავლების სამსახურს ი/მ ვახტანგ გოგოლაძის საგადასახადო შემოწმება დაევალა. ეს კი, სახალხო დამცველის თქმით, ეწინააღმდეგება „ამნისტიისა და არადეკლარირებული საგადასახადო ვალდებულებებისა და ქონების ლეგალიზაციის შესახებ“ საქართველოს კანონს, ვინაიდან შესამოწმებელი პერიოდი წარმოადგენდა ამნისტირებულ პერიოდს და მისი შემოწმება კანონით აკრძალული იყო.

# ექთნები ქართულ პოლიტიკაში — ეკატერინე ხვედელიძეს ნაციონალები დასცინიან, სანდრა რულოვსს — არა

თამარ ნინიძე

**„ქართული ოცნების" პოლიტიკური ძალის თავმჯდომარედ ბიძინა ივანიშვილმა საკუთარი მეუღლე ეკატერინე ხვედელიძე დაასახელა თუ არა, სახელისუფლებო ტელევიზიებმა მოსვენება დაკარგეს. ეკატერინე ხვედელიძეზე ქილიკი არ წყდება, მის პროფესიას, ექთნობას მასხრად იგდებენ, არადა ერთი საინტერესო დეტალი გამორჩათ მხედველობიდან, ის, რომ პირველი ლედი სანდრა ელისაბედ რულოვსიც დიდი ხანი არ არის, რაც მედდა გახდა; მან საკუთარი სურვილით გაიარა საექთნო კურსები და სწორედ სახელისუფლებო ტელევიზიებმა გვიჩვენეს მშვენიერი სიუჟეტი, როგორ ამაღლებულ განწყობაზე საუბრობს სანდრა ელისაბედი თავის ახალ პროფესიაზე. ექთნობა სამარცხვინო არ არის, ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა პროფესია, აი, მაგალითად, ედუარდ შევარდნაძეზე ამბობენ, რომ მას საფერშლო განათლებაც ჰქონდა მიღებული. მართალია შევარდნაძე ამბობს, რომ განათლებით ისტორიკოსია, მაგრამ მის ბიოგრაფიაში ფერშლობის შესახებ ცნობებს დღემდე იხსენებენ და მერე რა? ვერ ივარგა საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრად?!**

პროფესიები სამარცხვინო არ არის, სიზარმაცე და გაუნათლებლობაა სირცხვილი, მით უმეტეს დღეს, როცა ახალგაზრდები ერთდროულად რამდენიმე პროფესიას ეუფლებიან. მოკლედ, იმის თქმა გვინდა, რომ ექთნობა საქილიკო არ არის, არც ის, რომ ქალი პოლიტიკაში მიდის. სხვათა შორის, ქართულ პოლიტიკურ რეალობაში რამდენიმე აქტიური პოლიტიკოსი ქალია, რომლებიც თავისთავად პარტიების სახეებსაც წარმოდგენენ და პოლიტიკაზეც ახდენენ გავლენას.

„დემოკრატიული მოძრაობის" ლიდერი და სახალხო კრების გამორჩეული სახე ნინო ბურჯანაძეა. სანამ ის აქტიურ ოპოზიციაში გადავიდოდა, ქვეყნის მეორე პირი იყო და ორჯერ ქვეყნის პირველპირობასაც გამოჰკრა ხელი. ამჟამად კი ოპოზიციონერის ამპლუაში ის საკმაოდ ცხარედ და დაუნდობლად აკრიტიკებს პრეზიდენტ სააკაშვილს.

სააკაშვილის მთავრობის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი სალომე ზურაბიშვილი პროფესიონალი დიპლომატია, მინისტრად დანიშვნამდე ის აფრიკაში, ჩადის რესპუბლიკაში იყო საფრანგეთის ელჩი, საქართველოში სააკაშვილმა მოიწვია და მინისტრად დიდი პატივით დანიშნა. გარკვეული დროის გასვლის შემდეგ კი ბურჯანაძესა და ზურაბიშვილს შორის დღემდე გაურკვეველი მიზეზით კონფლიქტი წარმოიშვა; ეს კონფლიქტი გაღრმავდა, ბურჯანაძე იმ დროს პარლამეტნის თავმჯდომარე იყო და საგარეო საქმეთა მინისტრ ქალბატონისადმი კრიტიკას არ იშურებდა, ბოლოს სააკაშვილსაც მიურბენინეს ენები და მანაც ზურაბიშვილი პოსტიდან გაათავისუფლა. საფრანგეთში გაზრდილმა ქალბატონმა თბილისში იპოდრომზე საპროტესტო აქცია გამართა, მხარდამჭერები ბლომად შეკრიბა და ხელისუფლების მისამართით ისტორიაში აწ უკვე შესული ფრაზა ისროლა: „ქაჯები მოდიან და ქაჯები მიდიან". ვინ იყვნენ ქაჯები, ამის თაობაზე საზოგადოება მხოლოდ მკითხაობდა, სალომე კი გაბრაზებულ გულზე ოპოზიციაში გადაბარგდა. მხოლოდ ოპოზიციაში გადასვლის შემდეგ გაუგეს ერთმანეთს ნინომ და სალომემ. ხელიხელჩაკიდებულებს არა ერთხელ უვლიათ რუსთაველის პროსპექტზე საპროტესტო ქარავანში ჩაბმულებს.



დიდი ოპოზიციური სტაჟი დაუგროვდათ „ახალი მემარჯვენეების" პოლიტიკოს ქალბატონებს. მანანა ნაჭყებია და ფიქრია ჩიხრაძე პოლიტიკაში გუშინ არ მოსულან, თავის დროზე დეპუტატობის დროს ნაჭყებიას და ჩიხრაძეს თემებიც დაყოფილი ჰქონდათ, მანანა ნაჭყებია განათლების სფეროში მუშაობდა და ხელისუფლების აქტიური ოპონენტი იყო, ფიქრია ჩიხრაძე საშინაო პოლიტიკაში იძლეოდა კომენტარებს.

„ქართულ პარტიას" ორი პოლიტიკოსი ქალი ჰყავს, სოფიო ხორგუანი და თეო ტლაშაძე. ამჟამად მხოლოდ ხორგუანი აქტიურობს, ტლაშაძეს, როგორც ჩანს, მაინცდამაინც არ უყვარს საზოგადოებაში ტრიალი, თუმცა ამბობენ, რომ ის ირაკლი ოქრუაშვილის მეგობარია და ერთგულება არაერთხელ დაუმტკიცებია მისთვის.

შალვა ნათელაშვილს ერთ გამორჩეული „ფეისი" ჰყავდა ნესტან კირთაძის სახით და ისიც გაექცა. პროფესორი ნესტან კირთაძე შრომის პარტიისთვის მართლაც მშვენიერი შენაძენი გახლდათ და მათთვის სამწუხაროდ, დიდი დანაკარგიც გახდა ამ პარტიისთვის. ამჟამად კირთაძე არასამთავრობო სექტორში საქმიანობს და სახალხო დეპლომატიის გზით ცდილობს ქართველების ოსებთან და აფხაზებთან დაახლოებას.

ორი აქტიური ქალბატონი, ორივე ჟურნალისტი და ორივე ცნობილი ეკრანული სახე, ასეთი მდიდარი პარტიული სახეები ჰყავთ ქრისტიან–დემოკრატებს. ინგა გრიგოლია და მაგდა ანიკაშვილი, მაგდა პარლამენტის დეპუტატია და ჯანდაცვის სფეროში მუშაობს, ინგა საკრებულოს წევრია და ისეთივე სიცოცხლით სავსე და დინამიურია, როგორც ეკრანზე ჩანდა.

რესპუბლიკელ თინა ხიდაშელს და თავისუფალ დემოკრატ თეა წულუკიანს სასწაულად გაუმართლათ, რომ დღეს ისინი ივანიშვილის კოალიციის წევრები არიან.

ყოფილი სახალხო დამცველი, ცესკოს ყოფილი თავმჯდომარე ნანა დევდარიანი პოლიტიკაში ჟურნალისტიკიდან მივიდა. გამოცდილი ტელეჟურნალისტისთვის პოლიტიკა ის ასპარეზი აღმოჩნდა, სადაც მან თავი მაქსიმალურად წარმოაჩინა, ის ახლაც აქტიურ პოლიტიკაშია. ცოტა ხნის წინ ხმაურიანად დატოვა „ქართული ოცნების" თემატური ჯგუფი.

ირინა სარიშვილი და თამარ ჩხეიძე, ეროვნული მოძრაობის ლიდირები, დღეს პოლიტიკაში პარტიულ სტრუქტურებში მუშაობის გამოცდილებით არიან ცნობილი.

ნაციონალურ მოძრაობას და აღმასრულებელ ხელისუფლებასაც არა ერთი ქალბატონი ჰყავს. პირველ რიგში ლეგენდარული ელენე თევდორაძე უნდა ვახსენოთ, გარდა იმისა, რომ ის მოქკავშირის წევრი იყო, პარლამენტის არა ერთი მოწვევის დეპუტატი, მას პენიტენციალური სისტემის დედასაც ეძახიან, ციხეებში არსებული მდგომარეობა და პატიმრების უფლებების დაცვა მისი პირველადი საქმიანობა გახდა, არადა წარსულში ის პედაგოგი იყო. თევდორაძის პოლიტიკური საქმიანობა ნაციონალურ მოძრაობაში გაგრძელდა, ეს ასაკოვანი ქალბატონი ცნობილია თავისი მოსწრებული ენითა და იუმორით. მისი გამონათქვამები დღესაც ახალისებს არა მარტო მის კოლეგებს, სწორედ ამიტომ გახდა ის ლეგენდარული ელენე.

პარლამენტში ნაციონალებს ჰყავთ ქალი დეპუტატები, რუსუდან კერვალიშვილი, ხათუნა გოგორიშვილი, ხათუნა ოჩიაური, ეკა ხერხეულიძე, ერთ რამედ ღირს მაია ნადირაძისა და მარიკა ვერულაშვილის ტკბილი წყვილის გახსენება, ისინი წინა მოწვევის პარლამენტში სულ ერთად ისხდნენ, თუ ვერულაშვილი ჟურნალისტებთან დიპლომატიურ ურთიერთობას ინარჩუნებდა და ხვდებოდა იმას, რომ პრესას დიდი ძალა აქვს, ნადირაძეზე იმავეს ვერ ვიტყვით, ნადირაძე ჟურნალისტებზე თავდასხმას ხშირად აწყობდა, განსაკუთრებით პრესის ჟურნალისტები აღიზიანებდა. ჰოდა, დღეს რომ არსად ჩანს და აქტიურ პოლიტიკაში არ ტრიალებს, ამაში პრესის დიდი წვლილიცაა.

აღმასრულებელ ხელისუფლებაში ორი მინისტრი ქალია, ხათუნა კალმახელიძე და ვერონიკა ქობალია, რომლებიც ჩვენი ყურადღების ცენტრში მოექცნენ. კალმახელიძემ პენიტენციალური სისტემა და ციხეეები ჩაიბარა, იმედი იმისა, რომ ბაჩო ახალიას შემდეგ ქალი მინისტრი პატიმრებისადმი უფრო შეარბილებდა თავის პოლიტიკას, არ გამართლდა. სახალხო დამცველის ანგარიშებში კალმახელიძე ხშირად არის კრიტიკის ობიექტი. ვერონიკას რაც შეეხება, მდგრადი ეკონომიკური განვითარების მინისტრი მდგარადად ჯერჯერობით თავის სავარძელს იკავებს, ერთადერთი, რაც მასში საინტრესოა, ეს მისი სასიამოვნო გარეგნობაა. ახლახან კი ცნობილი გახდა, რომ იტალიაში ვიზიტის დროს სილამაზის დიდი დამფასებლები იტალიელები მისით ისე მოიხიბლნენ, რომ სტატიაც კი მიუძღვნეს.

ნაციონალები გენდერულ თანასწორობაზე ახდენენ სწორებას, ახლახან კანონითაც კი გაამყარეს ქალებისადმი დამოკიდებულება. ოპოზიციურ პარტიებს გარკვეული შეღავათები ექნებათ, თუ მათ სიაში ყოველ ათ მამაკაცზე ორი ქალი მაინც მოვა. ასე რომ, ახლა მოსალოდნელია ნამდვილი ბრძოლა გაჩაღდეს, ვის მეტი ქალი ეყოლება საარჩევნო სიებში. უნდა აღინიშნოს, რომ ქალბატონების შრომისა და ნიჭის შემჩნევა ბოლოს და ბოლოს თვით მიხეილ სააკაშვილსაც კი გამოსდის, თანაც არც ისე ურიგოდ. შევარდნაძის მთავრობაში არ იყვნენ იმდენი ქალები, რამდენიც სააკაშვილის მთავრობაში არიან.

ეკატერინე ხვედელიძეს რომ დავუბრუნდეთ, პრობლემა ის კი არ არის, რომ მედდა პოლიტიკაში წავიდა, მთავარია, საპარლამენტო უმრავლესობის მოპოვების შემთხვევაში თანამდებობები ისე არ განაწილდეს, რომ პრემიერ–მინისტრი ბიძინა ივანიშვილი თუ გახდება, პარლამენტის თავმჯდომარედ ეკატერინე ხვედელიძე აირჩიონ.

საზოგადოება, განსაკუთრებით კი ქართველი საზოგადოება, ოჯახურ და კლანურ მმართველობას მძიმედ აღიქვამს, იმედია ივანიშვილი წარსულის მწარე გამოცდილებას გაითვალისწინებს.

## ზვიად ძიძიგური: ხელისუფლება საერთაშორისო ორგანიზაციებს ნაცარს აყრის"



„კონსერვატიული პარტიის" ლიდერის, ზვიად ძიძიგურის შეფასებით, პოლიტიკური სუბიექტებისთვის სატელევიზიო რეკლამის განთავსების ხარჯების დასაფარად დამატებითი თანხების გამოყოფის ინიციატივა საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დამკვირვებლებისთვის თვალში ნაცრის შეყრის მცდელობაა.

როგორც ძიძიგურმა „ინტერპრესნიუსს" განუცხადა, იმ დრაკონული ცვლილებების შემდგ, რომელიც ხელისუფლბამ პარტიათა დაფინანსების საკითხებთან მიმართებაში მიიღო საარჩევნო კანონმდებლობაში, ასეთი ტიპის ნაბიჯის გადადგმა მცდელობაა იმისა, რომ თითქოს მათ, მოფიქრებული აქვთ დემოკრატიული სისტემა არჩევნებში მონაწილე სუბიექტებისათვის.

მისი თქმით, ეს ნაბიჯი არ გამოდგება იმ უსამართლობების საპირწონედ, რომელიც მიხეილ სააკაშვილმა და მისმა ხელისუფლებამ ჩაიდინა საარჩევნო კოდექსთან და პარტიების დაფინანსების კანონთან მიმართებაში.

„კონსერვატორების" ლიდერის აზრით, თუკი ხელისუფლებას სურვილი აქვს დემოკრატიული მიმართულებით დაიწყოს ცვლილებები კანონმდებლობაში, ამისათვის ძირითად ოპოზიციურ პარტიებთან კონსულტაციები უმდა გამართოს და ამის მიხედვით უნდა მიიღოს მსგავსი ტიპის გადაწყვეტილებები.

„ამ კოსმეტიკურ ცვლილებებშიც „ნაციონალურ მოძრაობას" საკუთარი ამბიციები და მადა არ ავიწყდება და სხვა პარტიებისგან განსხვავებით, ბიუჯეტიდან ყველაზე მეტ თანხას აიღებს. ეს არის მათი ტრადიციული ხელწერა და ისინი ერთგულები რჩებიან ასეთი მახინჯი ტრადიციის, რომელიც თვითონვე დაამკვიდრეს ქართულ სამართლებლივ სივრცეში", — აღნიშნა ძიძიგურმა.

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 30-ე მუხლს ახალი, მე-12 პუნქტი დაემატება, რომლის თანახმადაც, პოლიტიკური სუბიექტებისთვის სატელევიზიო რეკლამის განთავსების ხარჯების დასაფარად დამატებითი თანხები გამოიყოფა.

გამოყოფილი თანხის რაოდენობის გაანგარიშების მიზნით, შესაბამისი საარჩევნო სუბიექტის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა გამრავლდება სამზე და გაიყოფა საარჩევნო სუბიექტში შემავალი პოლიტიკური გაერთიანებების რაოდენობაზე;

სულ სახელმწიფო ბიუჯეტიდან ამ მიზნისთვის 2 229 291 ლარი გამოიყოფა. ერთი საარჩევნო სუბიექტისთვის განკუთვნილი თანხის რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 600 000 ლარს.

„ნაციონალური მოძრაობის" მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, აღნიშნული თანხიდან 600 ათას ლარს მიიღებს „ნაციონალური მოძრაობა"; 213 912 ათას ლარს – „მრეწველები"; 200 ათასს – 200 ათასს ლარს – „ქრისტიან-დემოკრატები", „ქრისტიან-დემოკრატიული სახალხო პარტია" და პაატა დავითაიას „ევროპელი დემოკრატები", რომლებიც 2010 წლის თვითმმართველობის არჩევნებში ერთ ბლოკში იყვნენ გაერთიანებული. სათითაოდ 117 405 ლარს მიიღებენ „თავისუფალი დემოკრატები", „მემარჯვენეები", „რესპუბლიკელები" და „საქართველოს გზა", რომლებიც ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე ასევე ერთ ბლოკს შეადგენდნენ; 115 253 – 115 253 ლარს მიიღებენ „კონსერვატორები", „ხალხის პარტია" და მოძრაობა „ერთიანი საქართველოსთვის", რომლებმაც არჩევნებში „ეროვნული საბჭოს" სახელით მიიღეს მონაწილეობა.

ცვლილების ინიცირება პარლამენტში მომავალ კვირაში მოხდება, მისი განხილვა კი საგაზაფხულო სესიაზე დაიწყება. საგაზაფხულო სესია თებერვლის პირველ სამშაბათს იხსნება.

**ინტერპრესნიუსი**

## ტრადიციონალისტთა კავშირი" თავისუფალი საქართველოს" ინიციატივას უერთდება



„ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი" ოპოზიციური პარტიების მხრიდან საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებით ერთიანი პოზიციის ჩამოყალიბების შესახებ პარტია „თავისუფალი საქართველოს" ინიციატივას უერთდება. როგორც „ინტერპრესნიუსს" „თავისუფალი საქართველოდან" აცნობეს, „ტრადიციონალისტთა კავშირის" ლიდერი აკაკი ასათიანი მიესალმება „თავისუფალი საქართველოს" ინიციატივას და წარმოდგენილ დოკუმენტს უერთდება.

მათივე ცნობით, „ტრადიციონალისტთა კავშირი" უკვე მეოთხე ოპოზიციური პარტიაა, რომელიც „თავისუფალი საქართველოს" ინიციატივას გამოეხმაურა. ოპოზიციური პარტიების ერთიანი განცხადების პროექტს უკვე შეუერთდა „დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველო", „საქართველოს ქალთა პარტია სამართლიანობის და თანასწორობისათვის" და პოლიტიკური მოძრაობა „თეთრები".

„თავისუფალი საქართველოს" ლიდერები აღნიშნული ინიციატივით 11 იანვარს პარტიის ოფისში გამართულ ბრიფინგზე გამოვიდნენ და ოპოზიციურ პარტიებს ერთიანი განცხადების პროექტი შესთავაზეს. კახა კუკავას განცხადებით, ხელისუფლებამ უარი თქვა ოპოზიციური პარტიების მიერ შეთავაზებულ წინადადებებსა და საერთაშორისო რეკომენდაციების ძირითადი ნაწილის გათვალისწინებაზე და პრაქტიკულად 2011 წლის ბოლოს მიღებული გადაწყვეტილებებით კიდევ უფრო გააუარესა საარჩევნო და მასთან დაკავშირებული კანონმდებლობა.

აღნიშნულმა ფაქტორმა განაპირობა აუცილებლობა, რომ ოპოზიციური სპექტრი შეთანხმდეს ერთიან განცხადებაზე, სადაც აღნიშნული იქნება, რომ არსებული კანონმდებლობის მიხედვით 2012 წელს შეუძლებელია საქართველოში ჩატარდეს თავისუფალი და დემოკრატიული არჩევნები.

**ინტერპრესნიუსი**

# ლანა ღოღობერიძე: შევარდნაძემ ოფიციალურად გამომაცხადა მოღალატე ელჩად“

ნათია ხურცილავა

**კინორეჟისორი ლანა ღოღობერიძე „ქართული ოცნების“ თემატური ჯგუფის მუშაობაშია ჩართული. როგორც მან გვითხრა, კულტურის სფერო აბარია. ქალბატონი ლანა თავის გამოცდილებას ასევე საგარეო ურთიერთობების საკითხებზე მომუშავე თემატურ ჯგუფს უზიარებს.**

## ინტერვიუ ლანა ღოღობერიძესთან:

***— ქალბატონო ლანა, როგორია თქვენი დამოკიდებულება ბოლო დროს ქვეყანაში განვითარებული პოლიტიკური პროცესების მიმართ, რა მოლოდინი გაქვთ?***

— დღეს ჩვენს ცხოვრებაში, მგონია, რომ მნიშვნელოვანი და სერიოზული ხდება. პირველად არის მოსული ისეთი ტიპის ოპოზიციური ძალა, რომელიც უბრალოდ კი არ ებრძვის ხელისუფლებას, არამედ — სერიოზული მიდგომებით, სერიოზული ანალიზით. ჩვენ ყველანი ვფიქრობთ, გავაანალიზოთ, რანი ვართ, როგორ მოვედით დღემდე, რა არის ჩვენი რესურსი და როგორ შეიძლება ძირფესვიანად, სისტემურად შევცვალოთ ცხოვრება.

***— რაში ჩანს ეს?***

— შექმნილია თემატური ჯგუფები, რომელთა მუშაობა ძალიან ფართოდ არის გაშლილი. ამ ჯგუფების მუშაობაში ყველას შეუძლია მონაწილეობის მიღება, ვინც დაინტერესებულია ნებისმიერი მიმართულებით. ეს ჯგუფები ცალ-ცალკე მუშაობენ იმაზე, რომ საბოლოოდ ანალიტიკური და სტრატეგიული დოკუმენტი შედგეს, რაც საქართველოში ჯერ არ მომხდარა.

***— ქვეყნის განვითარების მოდელზეა საუბარი?***

— დიახ, ყველაფერს მოიცავს ეს ანალიზი. რა არის დღევანდელი საქართველო? რას ნიშნავს დასავლური ორიენტაცია? ეს ორიენტაცია არის და უნდა გაგრძელდეს. რამდენად ვეყრდნობით ამ ფასეულობებს? რამდენად არის ეს ფასეულობა ჩვენთვის დამახასიათებელი? მე ვფიქრობ, ეს მართლაც ჩვენი ფასეულობაა, რომელიც საუკუნეთა წიაღიდან მოგვყვება. ძალიან ემთხვევა ჩვენი ფასეულობები დემოკრატიული ცივილიზებული სამყაროს ფასეულობებს, მაგრამ, დღეს არ მოქმედებს, ისე, როგორც უნდა მოქმედებდეს.

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ეს ანალიზი ყველა მიმართულებით სახელმწიფო სტატისტიკაზე იქნება დაყრდნობილი. ამ სტატისტიკით ძალიან ბევრი რამ ირკვევა. მაგალითად, კულტურის სფეროში, სანამ ტოტალიტარული სახელმწიფო გახლდათ, საქართველოში 100-მდე კინოთეატრი იყო, ახლა ხუთია. ამის მიზეზი ეს ხელისუფლება კი არ არის. ალბათ, დამოუკიდებელი სახელმწიფოს დაარსების პირველივე დღიდან ხელისუფლებებს პატარა სახელმწიფოს მართვის არავითარი გამოცდილება არ ჰქონდათ. კიდევ ბევრი სხვა პრინციპული მიზეზია. ასე ნელ-ნელა ინგრეოდა. მსგავსი მდგომარეობაა ბიბლიოთეკებთან დაკავშირებით. ვიმეორებ, სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით, ობიექტური რეალობის გამოვლენის სურვილით და არა იმ სურვილით, რომ ვიღაცას რაღაც წამოაძახო, უნდა გამოვავლინოთ, რა რესურსი დაგვრჩა. ამის შემდეგ დგება საკითხი: რა და როგორ გავაკეთოთ? როგორ შევავსოთ ეს სტრატეგია რეალური შინაარსით? ყოველთვის უნდა გავითვალისწინოთ, რომ ჩვენ არ ვართ რესურსებით მდიდარი. ორი რამეა განმსაზღვრელი — ერთი მხრივ, ვართ პატარა ერი, მეორე მხრივ — არ გვაქვს რესურსები. მსოფლიოში არის მაგალითები, ვთქვათ, ფინეთი. მათ სიმაღლეებს სწორედ დემოკრატიული პრინციპებით მიაღწიეს. მთელი ქვეყანა მონაწილეობდა იმაში, თუ რა უნდა ქვეყანას, ყველა მხრივ გონიერებით, რაც ქართველებს ნამდვილად გვაკლია. ჩვენი იმპულსუროობა სახელმწიფოს მართვას არ შველის. იმპულსურობა, ტემპერამენტი კარგია ხელოვნებაში. ამიტომაც ვართ ხელოვნებაში მართლაც გამორჩეულნი, მაგრამ ქვეყნის მართვისთვის ეს სრულიად არ არის შესაფერისი. ქვეყნის მართვაში რაციო უნდა ჩაერთოს, თან — ძალიან მძლავრად. ამ შემთხვევაში შეიძლება ბევრ რამეს მივაღწიოთ. ისევ ფინეთს მოვიშველიებ. ეს ქვეყანა ყველა მაჩვენებლით ყოველთვის პირველ ხუთეულშია, თან მასაც ჰყავს ისეთი მეზობელი, როგორიც რუსეთია, მისკენ მიმართული აგრესიით. ამიტომ არის ჩვენთვის სიმპტომატური.

***— თუმცა, მათ განსხვავებული მენტალიტეტი აქვთ და ეს, ალბათ, ბევრს ნიშნავს...***

— რა თქმა უნდა, მაგრამ ჩვენ გვაქვს დადებითი და უარყოფითი მხარეები და ეს დადებითი უნდა გამოვიყენოთ.

***— ქალბატონო ლანა, დღეს ყველაზე დიდი პრობლემა რა არის, რას გამოყოფდით? ვიღაც ამბობს, რომ ეს შიშია, ვიღაც სხვა რაღაცას ასახელებს...***

— არსში, საფუძველში ეს არის ის, რომ ჩვენთან არ დამკვიდრდა პოსტულატი, სახელმწიფო ყოველი ცალკეული ადამიანისთვის არსებობს და არა პირიქით, რომ შეიძლება ადამიანს საერთოდ არ მიაქციო ყურადღება ან გასრისო, მორალურად გაანადგურო, რათა სახელმწიფო ააშენო. ეს აბსურდია. ეს სულაც არ არის დასავლური ღირებულება. სახელმწიფო იმისთვის არსებობს, რომ ყოველმა ცალკეულმა ადამიანმა თავი, ბედნიერად, კარგად იგრძნოს. ამისთვის ვართ ამქვეყნად მოვლენილი. პირადი უბედურება ყოველთვის იქნება, შეუძლებელია, რომ არ იყოს, მაგრამ სოციალური, პოლიტიკური წნეხისგან უნდა გავთავისუფლდეთ. დამოუკიდებელი, თავისუფალი საქართველოს მიზანი ეს იყო, მაგრამ, რა თქმა უნდა, სრულიად არ არის მიღწეული. ამასთან არის დაკავშირებული შიში. ტოტალიტარიზმის, იმ დიქტატურის შემდეგ (მე გამოვლილი მაქვს იმ ხანის ყველაზე საშინელი პერიოდი, 1937 წელი), ვერც წარმოვიდგენდი, თუ კიდევ შეიძლებოდა, ჩვენთან ყოფილიყო ელემენტარული, ყოველდღიური შიში, რომელიც თანდათან დამკვიდრდა. იცი, რომ ვიღაცას ეშინია, რაღაცას დაუყადაღებენ, სამსახურიდან გაათავისუფლებენ. ისევ მიუღებელი გახდა განსხვავებული აზრი. ეს პრინციპული საკითხია, თუ გვინდა დასავლური, ევროპული ღირებულებები. მთავარია, პოლიტიკური ცხოვრება დგას ამ პრინციპზე. არსებობს ხელისუფლება და არსებობს ოპოზიცია, რომელსაც განსხვავებული აზრი აქვს, ზოგჯერ რადიკალურად გამოხატული, ზოგჯერ —არარადიკალურად, მაგრამ ეს არის საზოგადოების განვითარების მამოძრავებელი ძალა, რომელიც ისეთი აქსიომაა, როგორც ორჯერ ორი ოთხია. ეს რომ ისევ არ არის ჩვენთან, საოცრად მიკვირს.

***— ძალიან ახლოს იცნობდით ამ გუნდს, როგორც ვიცი, მეგობრობაც გაკავშირებდათ პირადად პრეზიდენტ სააკაშვილთან. როგორ ფიქრობთ, სად შეცდა ეს ხელისუფლება? ძალიან მაღალ ნოტზე, დემოკრატიული ღირებულებების ფონზე მოვიდნენ...***

— ამ კითხვას ზედაპირულად ვერ ვუპასუხებ. ნამდვილად ასე მოვიდა ეს გუნდი. მაშინ იყო ზურაბ ჟვანია, რაც არ იყო უბრალო ფაქტორი. ზურაბ ჟვანია რაღაცით სრულიად გამორჩეული პიროვნება გახლდათ. ზურა ჩემი ნამდვილი მეგობარი იყო, ერთადერთი მეგობარი, რომელიც ასაკში შევიძინე. მეგობრები ბავშვობიდან ან ახალგაზრდობიდან მომყვებიან. ზურა იყო ერთადერთი მეგობარი, ჩემზე ბევრად ახალგაზრდა, პატარა ბიჭი, რომელიც ჩემთან ჯერ კიდევ საბჭოთა დროს მოვიდა. მახსოვს, კახა ჩიტაიამ მოიყვანა, მითხრა, „მწვანეების“ თავმჯდომარეს უნდა შენთან შეხვედრაო. სასაცილოა, რატომღაც წარმოვიდგინე, რომ „მწვანეების“ თავმჯდომარე ერთი შებერებული ტიპი იქნებოდა. უცებ შემოვიდა სულ პატარა ბიჭი. მერე რომ გავარკვიე, 25 წლის ყოფილა, ჩემ თვალწინ გახდა 26 წლის. ეს პატარა ბიჭი რომ დავინახე, მერე აღვშფოთდი. ასე უცებ დავმეგობრდით. ეს ყველაფერი ეყრდნობოდა იმას, რომ მას კარგი ფესვები ჰქონდა თავისი ოჯახიდან, განათლებიდან მომავალი. ძალიან სერიოზული კულტურა და მიდგომა გააჩნდა. რასაკვირველია, მასაც ჰქონდა ნაკლი. საერთოდ, როდესაც ასეთ მაღალ თანამდებობაზეა ადამიანი, არ შეიძლება, არ იყოს ჩავარდნა. არასწორი ადამიანების გარშემოხვევა — ეს ყველაფერი ჩემ თვალწინ იყო, მაგრამ მე არსზე ვსაუბრობ. გარდა ამისა, თავად მიშა საოცრად ნათელი იყო, გამორჩეული ყველასგან. ევროპის საბჭოში ერთად თავდადებით ვიცავდით საქართველოს ინტერესებს. მიშას ყოველი გამოსვლა უზარმაზარი აუდიტორიის წინაშე ხან ინგლისურად, ხან ფრანგულად მართლაც სერიოზული განაცხადი იყო, განაცხადი იმისა, თუ რა ქვეყნიდან ვართ. ჩვენს დელეგაციაში ასევე შედიოდნენ კახა ჩიტაია, ვანო ხუხუნაიშვილი, ირინა სარიშვილი. ჩვენი დელეგაცია ყველას ყურადღებას იპყრობდა. მართლაც ძალიან მაღალი სტანდარტები გვქონდა, საოცარი ორატორული გამოსვლები, ენების ცოდნაზე აღარ ვსაუბრობ. ეს ყველაფერი ერთად ქვეყნისადმი დამოკიდებულებას ქმნიდა. ჩვენი მიზანიც ეს იყო. დელეგაციის ხელმძღვანელი ვიყავი. ევროპაში რომ ჩავედით, ფაქტობრივად, საქართველოზე არაფერი იცოდნენ. საქართველოს გაცნობას მართლა ნულიდან ვიწყებდით. ამ მუშაობაში სულ ერთად ვიყავით. ყველაფრის კულმინაცია საქართველოს ევროპის საბჭოში მიღება იყო. ეს იყო ისეთი მოვლენა, რომელიც ყველას დაავიწყდა. ჩვენი ევროპელი კოლეგები ამბობდნენ, რომ ევროპის საბჭოში ასეთი ერთსულოვნებით ქვეყნის მიღება არ ყოფილა და, რაც მთავარია, აღფრთოვანებული იყვნენ მათთვის უცნობი ქვეყნით, მისი მაღალი ინტელექტუალური დონით, ახალი და ძველი კულტურით.

***— 1999 წელს ჟვანიამ უკვე ისტორიული ფრაზა თქვა, რომელიც გრიგოლ ვაშაძემ ახლა გაიმეორა — „მე ვარ ქართველი, მაშასადამე, ვარ ევროპელი“. როგორ გაჩნდა იდეა, ეს ფრაზა თქმულიყო?***

— ეს იყო ნამდვილი ექსპრომტი. ზურას მოხსენებაზე ერთად ვფიქრობდით. ეს იყო დღე, როდესაც ევროსაბჭოში მიგვიღეს. პირველი გამოსვლა ზურა ჟვანიასი იყო, მერე — მიშა სააკაშვილის, მე ბოლოს უნდა გამოვსულვიყავი. შესანიშნავი გამოსვლები იყო, ცხადია, ჩემს გამოსვლაზე არ ვსაუბრობ. ზურას გამოსვლაზე წინასწარ ვფიქრობდით, პირველი გამომსვლელი იყო, თან — პარლამენტის თავმჯდომარე. ყველაფერი ვიცოდით, რა უნდა ეთქვა, ამ ფრაზის გარდა. მთელ ამ ამბავში ბრწყინვალე იყო ის, რომ ქართულად თქვა. ასეთი რამ ევროპის საბჭოში არასოდეს მომხდარა, მერე ინგლისურად გაიმეორა. ამან მართლაც განუმეორებელი შთაბეჭდილება მოახდინა. არსებობს ფრთიანი ფრაზები, რომლებიც მართლაც რჩება ისტორიას. ასე მოვდიოდით გარკვეულ დრომდე. როდესაც შიდა დაპირისპირებები დაიწყო, ერთად ვიყავით მაშინაც. 1997 წლამდე საქართველო, ჩემი აზრით, მართლაც ვითარდებოდა დასავლური ღირებულებების მიმართულებით. ჩვენი ქვეყნის ისტორიიდან მხოლოდ ერთი დეტალის გახსენება რად ღირს, როდესაც თამარ მეფემ სიკვდილის გაუქმების დეკრეტი გამოსცა. მე-12 საუკუნეში რა საოცარია რენესანსის პოსტულატები. ეს იდეები უნდა აღორძინებულიყო. ქალისა და კაცის პარიტეტი, „ლეკვი ლომისა სწორია“. „ვეფხისტყაოსნის“ მთელი სიუჟეტი ჯერ კიდევ მაშინ ამაზეა აგებული. ამ იდეამ რღვევა დაიწყო, რასაც შევებრძოლეთ. სხვათა შორის, მე ოფიციალურად გამომაცხადეს მოღალატე ელჩად. ეს მთავრობის სხდომაზე დამიძახეს შევარდნაძის დროს.

***— მაინც რა არის განმსაზღვრელი ხელისუფლებაში ყოფნისას?***

— ძალიან ძნელია, ძალაუფლებას გაუძლო.

***— მიხეილ სააკაშვილმა ამ ცდუნებას ვერ გაუძლო?***

— ძალიან ახალგაზრდა იყო. მისი ძალა და მომხიბვლელობა რაღაცნაირად დაიკარგა. მართლა მგონია, ქვეყნის პირველი პირი რომ გახდე, თან იმ ქვეყნის, რომელიც მართლა გარდამავალ პერიოდშია, რომელსაც ასეთი აგრესიული მეზობელი ჰყავს, იმპერიული ტენდენციებით დატვირთული, რაც ფაქტია, ამასაც უნდა გაუძლო, ბევრ სხვა რაღაცასაც, რაც მართლა ძნელია. ტყუილად არ არის ნათქვამი, რომ ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება კი აბსოლუტურად რყვნის. ამას კიდევ, ჩემი აზრით, ის ფაქტორი ემატება, რომ ბიჭები იყვნენ. ამ პატარა ბიჭების გუნდმა რაღაც ცდუნებებს ვერ გაუძლო, თუნდაც — გართობის, პირადი კეთილდღეობის ცდუნებას, მე კარგად ვარ და ვერ ვხედავ, რომ ირგვლივ ადამიანები ცუდად არიან.

***— დიდი კედელი აღიმართება ხოლმე...***

— დიახ. ამავე დროს, ბუნებრივია, თანდათან იქმნება სხვა პოზიციები, დაპირისპირებული, როდესაც ხედავ, რომ ეს ასე არ უნდა იყოს სოციალურად, პოლიტიკურად, იწყება ჭიდილი. მერე ხალხი ამბობს, ვინ უნდა, რა ძალა ურჩევნია. ეს ისეთი ნორმალური პროცესია, რომ, მართალი გითხრათ, ამის გაუგებრობა მაკვირვებს — ასეთმა ძალამ, დემოკრატიის სლოგანებით მოსულმა, ვერ გაიგოს და ამას დაუნდობელი ომი გამოუცხადოს, რაც შეუძლია, ყველაფერი წაართვას, არ დაუშვას, აუკრძალოს. აკრძალვებით ამქვეყნად არაფერი გამოდის. აკრძალვებით შეიძლება მხოლოდ დიქტატურასა და დაპირისპირებას მიაღწიო, რომელიც ყველანაირად უნდა ავირიდოთ. რაღაცნაირად მგონია, რომ ამ ახალი ძალის დამახასიათებელი სიმშვიდეა. ახლა ჩემთვის ეს არის გადამწყვეტი. მგონია, რომ მშვიდი ძალა მეორე მხარეს არის. ვნახოთ, რა და როგორ იქნება. ძალიან მნიშვნელოვანია, სიმშვიდე შევინარჩუნოთ. მე ჩემს თავს ასე მოვიაზრებ.

***— ფიქრობთ, ამ ეტაპზე ქვეყანას სტაბილურობა, სიმშვიდე სჭირდება?***

— რა თქმა უნდა. ისე, სტაბილურობა და დემოკრატია ხშირად, როგორც ფრანგულად იტყვიან, ვერ ქორწინდებიან. ჩვენ ვერც ერთ ცდუნებას ვერ გავუძელით, რომელიც დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან იდგა ჩვენ წინაშე. მთავარი იყო შოვინიზმის ცდუნება. ვერც ამას გავუძელით. ვერც იმ ცდუნებას გავუძელით, რომ არ ჩაგვეთვალა, თითქოს ყოველთვის მართლები ვართ ყველას წინაშე. ბუნებრივია, დიდი ქვეყნისა და იმპერიის წინაშე მართლები ვართ, მაგრამ, პატარა ქვეყნების წინაშეც რომ ყოველთვის ჩვენ ვიყავით მართალნი, აფხაზების, ოსების. გვიფიქრია იმაზე, რომ არსებითად არ ვიყავით მართლები? ჩვენ ამ ცდუნებასაც ვერ გავუძელით. ყველაფერი დაგვატყდა თავს, მაგრამ მაინც ვერ გამოვედით, ვიღაცები შედარებით კარგად გამოვიდნენ, მაგალითად, ბალტიისპირეთის ქვეყნები. ვფიქრობ, ახლა დადგა წუთი, როდესაც იმდენი რამ დაგროვდა, სამოქალაქო ომის ჩათვლით, დაპირისპირებებით, რომ იქნებ ამას გადავაბიჯოთ. ერთადერთი, რაც ძალიან მთრგუნავს და ხანდახან სასოწარკვეთილებაშიც მაგდებს, არის ის, რომ საზოგადოება ისევ გახლეჩილია. საშინელ სიძულვილს გადააწყდები, მხოლოდ იმიტომ, რომ განსხვავებული პრინციპები აქვთ ადამიანებს. ეს ხომ 21-ე საუკუნეში სრულიად წარმოუდგენელია, თორემ შუა საუკუნეებში ინკვიზიცია ყველა ერმა გამოარა. ვფიქრობ, დადგება დრო, ამ ყველაფერს გადავაბიჯებთ. ამიტომ ვსაუბრობ სიმშვიდეზე. სიმშვიდით, დაფიქრებით, ანალიზით და არა გამძვინვარებით, არა დაპირისპირებით, არა გააფთრებით, არა რადიკალიზმით — ეს არის დღეს ჩემთვის მთავარი.



# ვეტერანებმა პრეზიდენტის რეზიდენციასთან შიმშილობა დაიწყეს

## რატომ არ აინტერესებს ხელისუფლებას სამშობლოსთვის თავდადებული ხალხი

შორენა გონგლაძე

**ვეტერანმა ავიატორებმა პრეზიდენტის რეზიდენციასთან შიმშილობის აქცია დაიწყეს. ათამდე ვეტერანი ავიატორი ხელისუფლებისგან ორი საკითხის მოგვარებას ითხოვს: მიიღოს სახელმწიფომ საპენსიო კანონი ყოფილი ავიატორების შესახებ და გადაიხადოს ხელისუფლებამ ის დაგროვილი გაუცემელი პენსიები, რომლის გადახდაც უზენაესმა სასამართლომ დააკისრა. სამწუხაროდ, ეს არ არის ვეტერანების მიერ გამართული პირველი აქცია, ამიტომ, ვარაუდი იმისა, რომ მათი პრობლემა კიდევ დიდი ხნის განმავლობაში გადაუჭრელი დარჩება, ნამდვილად რეალურია, ვინაიდან ამ ხელისუფლების პრიორიტეტებში არ ყოფილა პრობლემის მოგვარების ერთი პრეცედენტიც კი. ვინ უნდა აგოს პასუხი დღემდე განვითარებულ მოვლენებზე და სრულ განუკითხაობაზე, როდის დაიწყებს სახელმწიფო თავისი ერთგული ჯარისკაცების მოვლა-პატრონობას და მაგალითს აიღებს იმ ცივილიზებული ქვეყნებისგან, სადაც ვეტერანი დაფასებული და ღირსეული მოქალაქეა? ამ საკითხებში უკეთ გარკვევისთვის მეომართა უფლებების დაცვის კავშირის თავმჯდომარე ლალი ცერაძეს მივმართეთ.**

*— ქალბატონო ლალი, როდიდან დაიწყო ვეტერანთა პრობლემების გამწვავება, როდის გაჩნდა სერიოზული პრობლემები კანონმდებლობასთან დაკავშირებით, რა არის ამის მიზეზი, არაპროფესიონალიზმი თუ, უბრალოდ, სახელმწიფოს მიდგომაა ასეთი ამ ადამიანების მიმართ?*

— ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროში ბატონი ვლადიმერ ჭიპაშვილის დროს სრულიად განადგურდა ვეტერანთა კანონმდებლობა. ამ პროცესს უშუალოდ ხელმძღვანელობდა მისი მოადგილე, ბატონი ვახტანგ მეგრელიშვილი, რომელსაც თავისებური ხედვა ჰქონდა მეომარი ადამიანის მიმართ. მაშინ დაგვრჩა შთაბეჭდილება, რომ ბატონი ლადო საერთოდ არ იყო საქმის კურსში, თუ რატომ დაამახინჯა მისმა იურიდიულმა სამსახურმა ვეტერანთა კანონები. წინა ხელისუფლების დროს იმისათვის ვიბრძოდით, რომ დაღუპულ მოხალისეთა და მათი ოჯახის წევრების რეაბილიტაცია მომხდარიყო, რადგან მოხალისეთა შვილები და მეუღლეები ვერანაირ დახმარებას და სტატუსს ვერ იღებდნენ. დაღუპულები 18-19-20 წლის მოხლისეები არიან და ისინი არ იყვნენ სამსახურებრივად დაკავშირებული რომელიმე სტრუქტურასთან. გვეგონა, ახლა მაინც განისაზღვრებოდა დაღუპულ მოხალისეთა რაოდენობა და სტატუსი, მაგრამ 2006 წლიდან არათუ დაღუპულ მოხალისეთა პრობლემატიკა მოგვარდა, მთელი ვეტერანთა მრავალათასიანი კორპუსი სოციალური დაცვის გარეშე დარჩა. სამწუხაროდ, ეს ორი კანონი ისე გაანადგურეს და აბსურდამდე დაიყვანეს, რომ კანონის მუხლებიც კი ვერ მოიყვანეს შესაბამისობაში. ერთი მუხლი მეორეს ეწინააღმდეგება. კანონში დარჩა 3 ძირითადი მუხლი, რომელთაგან პირველი ვეტერანთა დაკრძალვას ეხება, მეორე გაზის, შუქის და საყოფაცხოვრებო ნაგვის გადასახადზე შეღავათს, მესამე კი, ფაქტობრივად, უმოქმედო პუნქტია, რადგან იქ მითითებულია სხვა კანონები და ნორმატიული აქტები, რომელებიც დაარეგულირებს ვეტერანთა მდგომარობას. საინტერესო ის არის, რომ ასეთი სხვა კანონი და ნორმატიული აქტი არ არსებობს. ამავე დროს, დაიხურა ვეტერანთა ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის პროგრამებიც როგორც ადგილობრივ მუნიციპალურ, ასევე სამინისტროების პროგრამირების მხრივ. ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ აღებულ იქნა პრიორიტეტულად მხოლოდ ე.წ. სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფ მოქალაქეთა რეგისტრაცია და დახმარება. სხვა ბენეფიციები აღარ იყო მათთვის საინტერესო და დაზღვევის სისტემაც მხოლოდ მათ მიაკუთვნეს. ამგვარად, ყველა ის პირი, ვისაც არ მიანიჭეს „უმწეოს“ და „ბოგანოს“ კატეგორია, აღმოჩნდა სახელმწიფოსგან ხელნაკრავი და ამითაც გაიზარდა უკმაყოფილება. ქვეყანა, რომელსაც დასაბრუნებელი აქვს სამაჩაბლო და აფხაზეთი და დასაცავი აქვს სამშობლო, სხვაგვარად უნდა ეფერებოდეს თავის ნატანჯ შვილებს. რატომ არ უნდა იყოს პრიორიტეტული სახელმწიფოსათვის სამშობლოსათვის თავგანწირული გმირების დაფასება? მათ იცავდა საკუთარი კანონი ვეტერანების უფლებების შესახებ. ბევრმა პირმა შეურაცხმყოფელად მიიჩნია ე. წ. ბოგანოთა სტატუსის მინიჭება. სახელმწიფოში, სადაც სათანადოდ ვერ აფასებენ პატრიოტების ღირსებებს, ვერ გაიზრდება მუხტი ღირსეული და სრულფასოვანი ზოგადსახელმწიფოებრივი განვითარებისა, მამულის და ქართული მიწის სიყვარულისა.

ჩვენი საპროტესტო წერილის პასუხად ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს აწ უკვე პატიმრობაში მყოფმა ბატონმა კოკა ფრუიძემ გამოგვიგზავნა წერილი, სადაც აღნიშნულია, რომ ვეტერანთა კანონმდებლობის დეგრადაცია ჩაატარეს „სამართლიანობის პრინციპის“ გათვალისწინებით. საინტერესოა, რა სამართლიანობის პრინციპია, როდესაც ომში დაღუპულის შვილს, დედას მეუღლეს ჩამოართმევ სტატუსს, არ მისცემ საშუალებას, ტრანსპორტით ისარგებლოს სტუდენტმა, რომელსაც არ აქვს კვების ფული და ომში დაეღუპა მამა, ან დედას და მეუღლეს, რომელსაც დაეღუპა შვილი და მხოლოდ 60 წლის ასაკში მიანიჭებ მარჩენალდაკარგულის სტატუსს, ან იმ მარტოხელა მშობელს, რომელსაც დამმარხავი აღარ დარჩა და დედისერთა შვილი კი შესწირა ქვეყანას, სამოწყალოდ მეზობლებში აკრებილი ფულით დაკრძალავენ. მიაღწევენ კი ისინი 60 წლამდე ამდენი დარდის და გაჭირვების დროს? ამგვარი განუკითხაობა იწვევს ძლიერ აგრესიულობას, ღირსების და პატივის შელახვას სწორედ იმ ადამიანებისათვის, ვისმა პატრიოტულმა განწყობამაც თავის დროზე გადაარჩინა დაცემას გაგრა, სოხუმი, თვით თბილისიც კი. მათ ხომ უამრავი სიცოცხლე გადაარჩინეს თავიანთი სიცოცხლის ფასად. ბევრი მათგანი შოთა კვირაიას „რაუნდების“ მსხვერპლი გახდა ან ციხეში აღმოჩნდა. რამდენიმე ტყვიაზე დაჭერილი მეომრების სასამართლო პროცესები საზოგადოებას კარგად ახსოვს. ამის საპროტესტოდ პირადად გამოვედი საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებების დაცვის კომიტეტის სხდომაზე და შემდეგ ყველას ახსოვს, რომელი სახელმწიფოს აგენტი აღმოჩნდა ბატონი კვირაია.



*— როგორია პრობლემატიკის მოგვარების მეთოდები?*

— თუ ჩვენი ქვეყანა პირველსაწყისად არ აღიარებს ადამიანის ფენომენის, პიროვნების ღირსების გაფრთხილებას და დაფასებას არ ისწავლის, არ იზრუნებს მოქალაქეზე, მისი განვითარება ბევრ საკითხში შეუსაბამობაში მოვა. აუცილებელია, ქვეყანას მართავდნენ ისეთი პირები, რომლებსაც უყვართ ადამიანი და სურთ მათი დახმარება. ამავე დროს, აღნიშნული მდგომარეობა არ შეესაბამება საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესებს და მსოფლიო ვეტერანთა საკანონმდებლო ბაზას, რომელიც კი არ თრგუნავს სამშობლოსთვის თავდადებული მეომრების უფლებებს, არამედ იცავს მათ კანონმდებლობითი ინიციატივებით, მფარველობას უწევს მათ კანონით და ხელს უწყობს საზოგადოებრივ ინტეგრაციას და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას. ომში მიმავალი ჯარისკაცი დარწმუნებული ინდა იყოს, რომ სახელმწიფო მასზე იზრუნებს. საერთაშორისო და მათ შორის საქართველოს კონსტიტუცია და კანონმდებლობა არ ითვალისწინებს კანონის უკუსვლას და ჩვენთან აღინიშნა გაუაზრებელი საკანონმდებლო ინიციატივები, რომელმაც დააზარალა ისედაც მწირი შემოსავლების მქონე მარჩენალდაკარგულთა ოჯახები (მაგალითად, ჯერ დაურიგეს მოქალაქეებს რამდენიმე თვის სუბსიდია 44 ლარი და შემდეგ აიძულებდნენ, უკან მიეტანათ შვილდაღუპულ მშობლებს თანხები და უკავებდნენ მწირი პენსიიდან. შეუქმნეს გაუსაძლისი საარსებო პირობები). ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ბრძანებით (მინისტრი ლადო ჭიპაშვილი) გაუქმდა ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამმართველოს ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტი. მიუხედავად გამოთქმული არაერთი პროტესტისა და მინისტრთან შეხვედრებისა, არ აღდგა ეს სტრუქტურული ერთეული და ვეტერანთა დეპარტამენტში აღარ ხორციელდება ამ სამსახურთან დაკავშირებული პროგრამები, მათ შორის: ვეტერანთა ოპერაციების, ინვალიდთა საპროთეზო უზრუნველყოფის, სამკურნალწამლო საშუალებებით მომარაგების და სახელმწიფოს მიერ განხორციელებულ სხავდასხვა პროგრამაში მონაწილეობის და შემუშავების მხრივ. სახელმწიფო ბიუჯეტში აღარ არის გათვალისწინებული 400 000 ლარი, რომელიც უზრუნველყოფდა ვეტერანთა ოპერაციის თანხების დაუბრკოლებლივ გაწევას და დღეს შემოიფარგლება მხოლოდ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიმართ შუამდგომლობის გაწევით. ეს რეკომენდაციები ხშირად დარჩენილა უპასუხოდ და ბიუროკრატიული აპარატიც ხშირად არ იძლევა პასუხს შეკითხვაზე, თუ ვისი თხოვნა დაკმაყოფილდა. ჩვენი აზრით, ვეტერანთა საოპერაციო თანხები უნდა აღდგეს ცალკე პუნქტად რომელიმე შესატყვის უწყებასთან (მაგალითად, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან ან ახლა უკვე თავდაცვის სამინისტროსთან) და იქნეს გათვალისწინებული ისიც, რომ დღეს ოპერაციის ჩატარება უფრო ძვირი ჯდება, ვიდრე რამდენიმე წლის წინ. მეომარი რჩება პრობლემების პირისპირ მარტო და ეს იწვევს მის სამართლიან უკმაყოფილებას და გაღიზიანებას. მაგალითად მოვიყვან იმ ფაქტს, რომ ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენის კავალერი მერკულის ბრძოლის გმირი, საქართველოს პატრიოტი ადამიანი, ერეკლე ერმინეს ძე ნარსავიძე, ინვალიდი ვეტერანი, 20 წელია უწყებიდან უწყებაში დადის და ვერ პოულობს ნუგეშს იმ მხრივ, რომ გაიკეთოს ორივე ფეხზე მენჯის ოპერაცია და აქვს გაუსაძლისი მდგომარეობა. მის შესახებ არაერთგზის დაიწერა პრესაში და ყველა მინისტრის წინაშე დაისვა საკითხი, მაგრამ ამაოდ. რამდენიმე კვირაა შეგზავნილია წერილი ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროში და პასუხი არ ჩანს. სამი კვირის წინ ერეკლეს მენჯის პროთეზი ჩაუტყდა ფეხში და ველარ ინძრევა. ამისთანა სისასტიკე ყოვლად წარმოუდგენელია. ვაჟკაცი კაცი ძლივს გადარჩა და ახალ ჩვენი დანაშაულებრივი უპასუხისმგებლობით უნდა დაიტანჯოს. რა ხდება მის გულში, ვინ იცის? ხომ არ ნანობს, რომ საერთოდ მონაწილეობა მიიღო ამ სახელმწიფოსთვის ბრძოლაში.

*— რას გვეტყვით თვით ვეტერანთა დეპარტამენტის მდგომარეობაზე?*

— ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროში ლადო ჭიპაშვილის შემდეგაც არ შეცვლილა მდგომარეობა. რამდენი წელია წარდგენილი პროექტები არც კი გახილულა და საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის კომიტეტში აწყვია. იმის ნაცვლად, რომ მოეგვარებინათ მეომართა (მათ შორის ინვალიდთა) და მარჩენალდაკარგულთა პრობლემები და ამისათვის გამოეყოთ შესაბამისი თანხები (მათ შორის დაზღვევის), 2011 წლის ბოლოს ვეტერანთა დეპარტამენტი გადაიყვანეს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროდან თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში და უშუალოდ დაუქვემდებარეს გენერალურ შტაბს. გაურკვეველია, რა ფუნქცია უნდა შეასრულოს ვეტერანთა დეპარტამენტმა მოქმედი არმიის გენშტაბში?! გვეჩვენება, რომ საკითხი ნაჩაქარევად არის გადაწყვეტილი და საჭიროებს შესწავლას და დახვეწას. შესაძლოა, მოხდეს პირიქით და თავდაცვის სამინისტრო უფრო ქმედითად დაინტერესდეს და მოაგვაროს არსებული მდგომარეობა. ამას დრო გვიჩვენებს.

აქ რამდენიმე კვირაა მოვიდა ახალი ხელმძღვანელობა და საკმაოდ მონდომებული ჩანან. მით უმეტეს, რომ თავად მათ კარგად ახსოვთ მეომრის ფარაჯის სურნელი და ერთი ულუფა ცივი საჭმლის გემო, დაღუპული მეგობრების სისხლის ალმური და მათი ზეცას შემყურე გაყინული თვალებიც. იმედია, პრობლემატიკაშიც სწრაფად გაერკვევიან, სახელმწიფო ამჯერად მაინც გამოიჩენს კეთილ ნებას და გამოყოფს პროგრამულ დაფინანსებას. ჩვენთვის საინტერესოა ამ მხრივ მათი ხედვა. ალბათ მომავალში ჩაატარებენ ბრიფინგს და საზოგადოებას გააცნობენ თავიანთ მოსაზრებებს. ასევე საინტერესოა, როგორ მოხდება დაგროვილი პრობლემების მოგვარება, კანონმდებლობითი ინიციატივების განხორციელება და გაუქმებული კანონმდებლობის აღდგენა. სახელმწიფო გადაწყვეტს ვეტერანთა პროგრამულ დაფინანსებას თუ თანხები კვლავ აღმოჩნდება ცალკეული პირების და ვინმესთვის საჭირო არასამთავრობო ორგანიზაციების ხელში.

***— როგორც ვიცით, თქვენ დაასრულეთ მუშაობა წიგნზე „ქართველ გმირთა სულთა მატიანე“, რომელშიც შეტანილია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულ მეომართა სახელები და გვარები. როდისთვის იგეგმება წიგნის გამოცემა?***

— დიახ, წიგნი გამოსაცემად მზად არის და, იმედი გვაქვს, გამოჩნდებიან ადამიანები, რომლებიც მის გამოცემას დააფინანსებენ. ჩვენი სურვილია, მარადისობაში უკვალოდ არ დაიკარგოს მათი გმირობა და შთამომავლობას შემოვუნახოთ საქართველოსთვის თავდადებულთა სულმნათი სახელები. ისინი ხომ იმ ქართული ლაშქრის წევრები იყვნენ, ომიანობის დროს ქუდზე კაცის დაძახილზე რომ გამოდიოდნენ ქართული ალმების ფრიალით და ფარ-აბჯრების ჯახუნით. გვინდა, სამების დიდ ტაძარში დაივანოს სამკვიდრებელი ამ მატიანემ და, ჩვენი არსებობის მიუხედავად, დედაეკლესიამ მარადიულად მოიხსენიოს ისინი. მათ კი, ჩვენმა განწირულმა ახალგაზრდებმა, ზეციური საქართველოდან ილოცონ უფლის წინაშე თავიანთი საყვარელი სამშობლოს გადასარჩენად.

# თინა ხიდაშელი: ევროსაბჭო საქართველოს საარჩევნო გარემოს შეცვლას სთხოვს“



„რესპუბლიკური პარტიის“ ინფორმაციით, 26 იანვარს ევროსაბჭომ საქართველოს შესახებ კრიტიკული რეზოლუცია მიიღო.

როგორც პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა თინა ხიდაშელმა ჟურნალისტებს განუცხადა, დოკუმენტში საქართველოს ხელისუფლება ბევრი მიმართულებითაა გაკრიტიკებული.

„რეზოლუციაში პირდაპირ, შავით თეთრზე წერია, რომ ევროპის საბჭო საქართველოს ხელისუფლებისგან საარჩევნო სისტემის ცვლილებას მოითხოვს. ხაზს ვუსვამ, რომ გამოყენებულია სიტყვა „მოთხოვნა“. ამის შემდეგ წერია, რომ საქართველოს საარჩევნო სისტემა არ შეესაბამება საერთაშორისო პრინციპებს და სტანდარტებს და სავალდებულოა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ის შეცვალოს“, – აღნიშნა ხიდაშელმა.

მისივე თქმით, აქვე ორგანიზაცია ქართულ მხარეს რეკომენდაციას აძლევს, რომ გადავიდეს რეგიონულ პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე. „ეს რეკომენდაცია ერთი-ერთში ემთხვევა იმას, რასაც ჩვენ „რვიანის“ ფორმატში ვითხოვდით“, – აღნიშნა „რესპუბლიკური პარტიის“ ერთ-ერთმა ლიდერმა.

გარდა ამისა, ხიდაშელის თქმით, რეზოლუციაში საქართველოს ციხეებში არსებულ მდგომარეობაზეცაა საუბარი და ნათქვამია, რომ „მსჯავრდებულთა ისედაც არაბუნებრივად მაღალი პროცენტი 99,08 %-დან 99, 09 %-მდე გაიზარდა“.

„ევროსაბჭო საუბრობს საპროცესო გარიგებებზეც და წერს, რომ საპროცესო გარიგების 90 % მთავრდება დანაშაულის აღიარებით. გარდა ამისა, რეზოლუციაში ნათქვამია, რომ ქართველი მოსამართლეები პროკურატურის ზეგავლენის ქვეშ არიან და გადაწყვეტილებები მიიღება იმის შესაბამისად, როგორ ლაპარაკობს პროკურორი სასამართლო პროცესზე. დოკუმენტის ბოლოს ევროსაბჭო ყურადღებას ამახვილებს დაუსჯელობის სინდრომზე, რომელიც პოლიტიკურად მოტივირებულ საქმეებთან მიმართებაში საქართველოშია გამეფებული და ერთ-ერთ მთავარ მაგალითად სანდრო გირგვლიანის სასამარლო პროცესი მოჰყავს“, – აღნიშნა ხიდაშელმა.

ინტერპრესნიუსი

# ქართველი მღვდელმონაზონი იონა, სავარაუდოდ, სოხუმში ჰყავთ დაკავებული

ქართველი მღვდელმონაზონი იონა, სავარაუდოდ, ე.წ. აფხაზ სამართალდამცველებს სოხუმში ჰყავთ დაკავებული, – ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ ბორჯომისა და ბაკურიანის მიტროპოლიტმა, სერაფიმე ჯოჯუამ განუცხადა.

მისივე თქმით, ქართველი მღვდელმონაზონი იონა, ერისკაცობაში მამუკა მაისურაძე, ოთხი დღეა, რაც აფხაზეთში გადავიდა და აღარ გამოჩენილა. მღვდელმონაზონი სამების საკათედრო ტაძარში მეორე წელია მსახურობს.

„სასულიერო პირები ვარაუდობენ, რომ იგი აფხაზეთის ტერიტორიაზე მორიგი გადასვლის დროს დააკავეს. მღვდელმონაზონი იონა წარმოშობით სოხუმელია. ის პერიოდულად აფხაზეთის ტერიტორიაზე ფარულად გადადიოდა, რათა იქაურ ქართველებთან, აფხაზ სასულიერო პირებთან და მრევლთან ურთიერთობა დაემყარებინა. იგი უშიშარი ვაჟკაცია. როგორც ჩანს, ამჯერად მისი განზრახვის შესახებ აფხაზეთის ან რუსეთის უშიშროებამ შეიტყო. გაურკვეველია, როგორ შეიძლება მის შესახებ რაიმე ინფორმაციის მოპოვება“, – აღნიშნა მეუფე სერაფიმემ.

ინტერპრესნიუსი

# ვინ და როგორ დაიცავს საავტორო უფლებებს საქართველოში

ეკა ირემაშვილი

საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციამ გასული წლის 7 თვიანი საქმიანობა შეაჯამა და მისმა ხელმძღვანელმა გიგა კობალაძემ ყველა იმ დეტალზე დაწვრილებით ისაუბრა, რაც მისი ასოციაციაში მოსვლის დღიდან გაკეთდა. როგორც დასკვნით შეხვედრაზე ითქვა, საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციამ გასულ წელს მჭიდრო თანამშრომლობა დაამყარა სახელმწიფო-ადმინისტრაციულ ორგანოებთან და საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან. გიგა კობალაძე ერთ-ერთ წარმატებულ მიღწევად საავტორო ჰონორარების შეგროვება-განაწილების გამჭვირვალე სისტემის დანერგვას მიიჩნევს. დარღვევათა აქტიური გამოვლენის მიზნით, შეიქმნა მონიტორინგის ჯგუფიც. გასულ წელს დაზუსტდა ავტორებისა და მათი ნაწარმოებების შესახებ არსებული მონაცემები და შეიქმნა დეტალური მონაცემთა ბაზები. გასული წლის განმავლობაში განახლდა საზღვარგარეთის ქვეყნებში მსგავსი ტიპის ორგანიზაციებთან არსებული ურთიერთობები და გაფორმდა ახალი ურთიერთწარმომადგენლობის ხელშეკრულებები. ავტორთა ასოციაციის ხელმძღვანელის თქმით, სტატისტიკური მონაცემები მნიშვნელოვნად არის გაუმჯობესებული. ლიცენზიების რაოდენობა დაახლოებით 10-ჯერ არის გაზრდილი, გაზრდილია გადახდილი და შეგროვილი ჰონორარების რაოდენობა, დარეგულირებულია სასამართლო დავების მიმდინარეობა და მთლიანობაში მაჩვენებელი არის დამაკმაყოფილებელი.

შემაჯამებელი შეხვედრის შემდეგ საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციამ „თბილისი ივენთ ჰოლში“ ჟურნალ „ქოფირაითის“ პრეზენტაცია მოაწყო. ჟურნალი, რომელიც ევროკავშირის მიერ არის დაფინანსებული, ასოციაციის მიერ კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ მხარდაჭერით გამოიცემა და ის სამ თვეში ერთხელ გამოვა. პირველი ნომრის მთავარი თემაა ინტერვიუ კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრ ნიკოლოზ რურუასთან, რომელშიც საუბარია როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სექტორისათვის საავტორო უფლებების მნიშვნელობასა და ამ მხრივ საქართველოში არსებულ მდგომარეობაზე. ჟურნალს თან ახლავს 2 სიდი თანამედროვე ქართველი მომღერლების კომპოზიციებით, რომელიც ასოციაციის მიერ კამპანიის — „ნუ დაარღვევ საავტორო უფლებას!“ — ფარგლებშია გამოცემული. ორიოდე დღის წინ კი „ლელა წურწუმია და კომპანიამ“ საავტორო უფლებების ლიცენზია იყიდა. სალიცენზიო შეთანხმებას ხელი მოაწერეს საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციის ხელმძღვანელმა გიგა კობალაძემ და „ლელა წურწუმია და კომპანიას“ ხელმძღვანელმა კახა მამულაშვილმა, იგივე მამულიჩამ. ლიცენზიის საფუძველზე, კომპანიის ორგანიზებით გამართული კონცერტები და სხვა ღონისძიებები საავტორო უფლებებით იქნება დაცული. ღონისძიებებში გამოყენებული ნაწარმოებების ავტორებისათვის ჰონორარები იქნება გადახდილი, რაც მათ ასოციაციის მეშვეობით გაუნაწილდებათ.

რა შემთხვევაში გიჩივლებენ სასამართლოში ავტორები და როდის მოგიწევთ ჯარიმების გადახდა, ამ და სხვა საინტერესო თემებზე „ახალ თაობას“ საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციის ხელმძღვანელი გიგა კობალაძე ესაუბრა.

**გიგა კობალაძე:**

— პირველადი მიზანი, მას შემდეგ, რაც დაიწყო ამ ასოციაციის რეფორმირების პროცესი და მის საქმიანობაში ცვლილებების შეტანის, ეს იყო სწორედ საზოგადოების ცნობიერების გაზრდა საავტორო ცნობიერების პროცესში. ამ მხრივ ჩვენ მიერ იქნა გადადგმული ძალიან ბევრი ნაბიჯი.

***— კონკრეტულად?***

— გაიმართა არაერთი კონცერტი, აქცია, დაიწყო კამპანია „ნუ დაარღვევ საავტორო უფლებას“, რომლის ფარგლებშიც გამოიცა დისკები. ეს იყო პირველადი მიზანი, რადგან დიდი პრობლემა იყო, ფართო საზოგადოებისთვის ცნობილი გამხდარიყო, რომ საავტორო უფლება არის სხვა ნებისმიერი უფლების თანაბარი და შეიძლება ითქვას, უფრო მეტიც და მისი დარღვევაც ისეთივე კანონდარღვევაა, როგორც სხვა კანონდარღვევა და ისეთივე დანაშაულია, როგორც ქურდობა.

***— ეს ხომ რეალურად ქურდობაა?***

— რა თქმა უნდა. ეს მიზანი საბოლოო ჯამში შეიძლება ბოლომდე ჯერჯერობით არ არის მიღწეული, მაგრამ იმ სეგმენტზე, ვინც იყენებს საავტორო უფლებას, ეს უკვე ცნობილი გახდა. მათში უკვე აღარ ჩნდება კითხვა, რომ საავტორო უფლების გამოყენებისთვის უნდა გადაიხადონ კონკრეტული საზღაური. მათ უკვე კარგად იციან, რომ საავტორო უფლების გამოყენებისთვის დადგენილია კონკრეტული თანხა და ის აუცილებლად უნდა გადაიხადონ.

***— ამ 7 თვის განმავლობაში რას მიაღწიეთ?***

— საბოლოო ჯამში, ამ ყველაფერმა გაგვიადვილა ის, რომ მოსარგებლეები, ანუ ვინც იყენებს საავტორო უფლებას, აღარ გვხვდებიან პროტესტით. ამან გამოიწვია ის, რომ გაიზარდა იმ ლიცენზიების რაოდენობა, რასაც ჩვენ გავცემთ. ჩვენ გავაცანით მედიის საშუალებით საზოგადოებას წლიური შედეგები, რაც მოიცავს ჩვენს 7 თვიან მუშაობას — მაისიდან დეკემბრის ჩათვლით. უახლოეს მომავალში იგეგმება, ეს გამოვიდეს ბეჭდური სახით და ყველას ჰქონდეს შესაძლებლობა, გაეცნოს ამ ყველაფერს ბეჭდური ინფორმაციით. პირველი სტატისტიკური მაჩვენებელი რაც არის, გახლავთ ის, რომ გაიზარდა ლიცენზიების რაოდენობა, ანუ იმ ნებართვების რაოდენობა, რომელსაც ჩვენ გავცემთ. სტატისტიკას თუ გადავხედავთ, არის ასეთი მაჩვენებელი — მთელი 2011 წლის განმავლობაში, მაისის ჩათვლით, სანამ აქ შეიცვლებოდა ხელმძღვანელობა, გაცემული იყო სულ 27 ლიცენზია, დარჩენილ 7 თვეში - მაისიდან დეკემბრის ჩათვლით კი გაიცა 278 ლიცენზია, ანუ დაახლოებით ათჯერ იქნა გაზრდილი ლიცენზიების რაოდენობა. ეს იმის დამსახურებაა, რომ ამაღლდა საზოგადოებრივი ცნობიერება, თან ჩვენ ინდივიდუალურად ვიმუშავეთ ყველა მოსარგებლესთან. ყველა სეგმენტის მოსარგებლეს შევხვდით ცალ-ცალკე და დიდი მუშაობა გავწიეთ — ტელევიზიები, სასტუმროები, რესტორნები, თეატრები, ინტერნეტპროვაიდერები, რადიოები. მათ უშუალოდ ავუხსენით კანონიერი მოთხოვნები.

***— გაუჭირდათ დათანხმება?***

— თავიდან იყო გარკვეული წინააღმდეგობა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ავუხსენით ყველაფერი, დავარწმუნეთ და კანონი ვაჩვენეთ, მერე უკვე დაგვთანხმდნენ. ამანაც გამოიწვია ლიცენზიების გაზრდა.

***— შეცვალეთ სატარიფო პოლიტიკა?***

— კი, ჩვენ რადიკალურად შევცვალეთ სატარიფო პოლიტიკა. ის ახლა უფრო რეალურია, ადგილობრივ ბაზართან მიახლოებული და საერთაშორისო პრაქტიკით გათვალისწინებული. პირველ რიგში, ჩვენ შევისწავლეთ საერთაშორისო პრაქტიკა სამი ტიპის ქვეყნების — მაღალგანვითარებული, განვითარებადი და დაბალგანვითარებული.

***— ჩვენ რომელი ტიპის ქვეყნებში ვართ?***

— ჩვენ ვართ განვითარებადი ქვეყნების ტიპში. მოვარგეთ ეს ყველაფერი ჩვენს პრაქტიკას და წავედით ლიბერალიზაციის კუთხით. მოსარგებლეების მხრიდან გადაუხდელობის ერთ-ერთი მიზეზი იყო ის, რომ განაკვეთი იყო საკმაოდ მაღალი, რაც იწვევდა ამ გადასახადისგან თავის არიდებას. თითქმის ყველა სეგმენტში მინიმუმ 20 პროცენტით შევამცირეთ ტარიფი. ამან კიდევ უფრო მეტი სტიმული მისცა მოსარგებლეს, რომ ფული გადაეხადა, უკვე ულირდა და მისთვის აღარ იყო ეს თანხა ტვირთი. საბოლოოდ მივიღეთ ის შედეგი, რომ თითქმის ყველა სეგმენტში შევედით, ზოგი მეტად, ზოგი ნაკლებად, ავითვისეთ. მთავარი არის ის, რომ მოცულობითი თვალსაზრისით ყველა სეგმენტი მოვიცავით. ეს ნიშნავს იმას, რომ 2012 წელი იქნება ის წელი, როცა მთლიანად შეიძლება ამოიწუროს ყველა მოსარგებლე ყველა სეგმენტის მიხედვით.

***— რა თანხები დაგროვდა ავტორებისთვის ამ 7 თვის მანძილზე?***

— ჩვენ უკვე მოვაგროვეთ დაახლოებით 105 ათასი ლარი და ავტორებს გადავურიცხეთ ჰონორარის სახით.

***— ყველა თანაბრად იღებს ჰონორარს?***

— არა, განაწილების სისტემა სპეციფიკურია, ეს ხდება სპეციალური დისტრიბუციის წესების მიხედვით ყველა ქვეყანაში და მათ შორის, ჩვენთანაც. ჩვენ მსგავს ორგანიზაციებთან მსოფლიოში მჭიდრო კავშირი გვაქვს და მათთან ურთიერთობით თვისობრივად ახალი დისტრიბუციის წესები დავადგინეთ. რაც უფრო ხშირად და ინტენსიურად გამოიყენება ამა თუ იმ ავტორის ესა თუ ის ნაწარმოები, მით უფრო მეტი ჰონორარი ეკუთვნის მას. ხდება ამ ყველაფრის დათვლა, აღრიცხვა და ამ ფორმულების მიხედვით განაწილება. ჩვენ გავზარდეთ ლიცენზიების რაოდენობა, რამაც გამოიწვია ჰონორარების ზრდა.

***— რამდენი ავტორია თქვენთან გაწევრიანებული?***

— ჩვენთან 529 ავტორია გაწევრიანებული. როცა მოვედით, ამ ორგანიზაციაში 438 ავტორი იყო, ჩვენი მოსვლის შემდეგ, დაახლოებით 100 ავტორი დაგვემატა. ვერ ვიტყვი, რომ ბოლომდე ყველას მივეცით ჰონორარი, მაგრამ უმეტეს ავტორს გარკვეული ჰონორარი გადავეცით. ეს შეიძლება არ იყოს ბევრი თანხა, მაგრამ საწყის ეტაპზე საკმარისია იმისთვის, რომ შეეტყოს რეფორმირება ამ სფეროს. ამ მხრივ ეს წელი არის გადამწყვეტი და გვაქვს მოლოდინი, რომ წელს ავითვისებთ მთელ ბაზარს და შეიძლება კანტიკუნტად დარჩეს რომელიმე სეგმენტიდან წარმომადგენელი, რომელიც არ იქნება ლიცენზირებული. ეს იწვევს როგორც ავტორის კმაყოფილებას და მისი დაცულობის ზრდას, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების რეიტინგებში ჩვენი ქვეყნის ზრდას.



ყველა ქვეყანაში ძალიან მნიშვნელოვანი კომპონენტია კომერციული თვალსაზრისით საავტორო უფლებების დაცვა. ნებისმიერი ინვესტორი, რომელიც შედის ამა თუ იმ ქვეყანაში, მისთვის მნიშვნელოვანია, რამდენად არის ამ ქვეყანაში საავტორო უფლება დაცული, რადგან მას შემოაქვს ახალი ტექნოლოგია, ახალი პროდუქტი, მისი დაუცველობა კი იწვევს მისი ბიზნესის კრახს, ამიტომ საავტორო უფლება ერთ-ერთი უმთავრესი კომპონენტია. ამ ასოციაციას აქამდე არ ჰქონია კავშირი დონორ ორგანიზაციებთან, ჩვენ ეს შევძელით და მათი დახმარებით მრავალი პროექტი განვახორციელეთ. ევროკავშირის დაფინანსებით გამოვუშვით ჟურნალი „ქოფირაითი“, რომელიც პირველი ჟურნალია ამ სფეროში და მოემსახურება მთლიანად ამ პრობლემატიკას. ჩვენ არ გვინდოდა ეს ჟურნალი ყოფილიყო მხოლოდ ვიწრო წრისთვის, ამიტომ მასში გაერთიანდა ისეთი რუბრიკები, რომელიც ყველას დააინტერესებს. მისი მიზანი საავტორო უფლებათა შესახებ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება, ამ სფეროს პოპულარიზაცია და ქვეყანაში მიმდინარე კულტურული პროცესების გაშუქებაა. ჟურნალი შემეცნებითი ხასიათისაა და მასში ასახულია საავტორო უფლებათა დაცვის სახელმწიფო პოლიტიკა, საერთაშორისო პრაქტიკა, საავტორო უფლებათა ასოციაციის საქმიანობა — რა კეთდება ქვეყანაში ავტორთა უფლებების დასაცავად, ასევე პრობლემატიკა, რაც ამ სფეროს ირგვლივ ქართულ რეალობაში არსებობს.

***— ყიდით ამ ჟურნალს?***

— არა, ის უფასოდ ვრცელდება. გამოვა სამ თვეში ერთხელ და პერმანენტულად გააშუქებს ყველა იმ პრობლემას, რომელიც არის ამ სფეროში, მისი აღმოფხვრის გზებს და კულტურული ცხოვრების პროცესებს. ეს ურთიერთობებიც კარგად დაგვილაგდა და საწუწუნო არაფერი გვაქვს.

***— ავტორებმა უკვე იციან, როგორ დაიცვან საკუთარი უფლება?***

— რა თქმა უნდა. ახლა ყველა ავტორმა იცის, როგორ და სად დაიცვას თავისი უფლება. ადრე თვითონ ავტორებმაც არ იცოდნენ რა უფლებები ჰქონდათ და შეიძლება ჰქონოდათ პრეტენზია, როცა არ ეკუთვნოდათ ანაზღაურება, მაგრამ მაინც ითხოვდნენ. დღეს ავტორმა იცის კონკრეტულად სად, როდის და რამდენი უნდა მოითხოვოს. საბოლოო ჯამში მინდა ვთქვა, რომ ვაფასებ ჩვენი ასოციაციის საქმიანობას, რაც ყველას დამსახურებაა, ვინც 24 საათიან რეჟიმში ვმუშაობთ. შეიძლება ჩაითვალოს, რომ ეს არის ერთგვარი გარღვევა იმ ფონზე, როცა მოვედით და რა სიტუაციაც აქ დაგვხვდა. თუმცა ვამბობ, რომ პრობლემა ისევ ძალიან ბევრია. კიდევ ერთი სტატისტიკური მაჩვენებელი შემიძლია გითხრათ, რომ მენეჯმენტის შეცვლამდე ბაზრის 5-7 პროცენტი იყო ათვისებული, ამ 7 თვის განმავლობაში ჩვენ შევძელით და 35 პროცენტამდე ავედით. ეს არ არის ის საბოლოო შედეგი, რაც უნდა დადგეს. ჩვენი მიზანია 80-90 პროცენტიანი დაფარვა გვქონდეს. ჩვენ არ ვადუნებთ მუშაობას და მთელი გუნდი მუშაობს იმაზე, რომ ერთხელ და სამუდამოდ მივუახლოვდეთ იმ სტანდარს, რაც არის განვითარებულ ქვეყნებში, განვითარებადი ქვეყნის საფეხურიდან გადავიდეთ განვითარებად ქვეყნებში და შევუერთდეთ იმ ქვეყნების რიცხვს, სადაც ეს პრობლემა აღარ არსებობს. ამ კუთხით იქ დიდი ტრადიცია და დიდი კულტურაა. ეს გამოიწვევს მინიმუმ ორ ყველაზე დადებით შედეგს — ამით მოხდება ავტორთა უფლებების დაცვა, მათი ჰონორარის შეგროვება და ჩვენთან ეს პრობლემა აღმოიფხვრება და მაჩვენებელი ჩვენი ქვეყნის გახდება ისეთი, როგორიც არსებობს მსოფლიოში.

***— წელს უკვე დაიწყებთ სადამსჯელო ღონისძიებებს?***

— ჩვენ პარალელურად რეჟიმში სულ ვიმუშავებთ საზოგადოებაზე. არ შეიძლება ადამიანს ერთხელ უთხრა და მერე აღარ გაუმეორო, ეს სულ უნდა გაუმეორო, რომ კიდევ უფრო კარგად გაუჯდეს. საზოგადოებრივი ცნობიერების გაზრდისკენ მიმართული აქციები გაგრძელდება, მაგრამ პარალელურად დავიწყებთ იმ კანონის ამოქმედებას, რომელიც საქართველოში არსებობს და ითვალისწინებს კონკრეტულ სანქციას — კონფისკაციას, უკანონო პროდუქციის ჩამორთმევას, ჯარიმას.

***— დიდია ჯარიმები?***

— პირველ შემთხვევაში ჯარიმა არის 500-დან 3.000-ლარამდე, მეორე შემთხვევაში 3.000-დან 5.000 ლარამდე. ჩვენ უკვე გადავალთ ამ ჯარიმების ამოქმედებაზე იმიტომ, რომ პირველი ეტაპი გავლილია — გაფრთხილება ყველამ მიიღო. როცა დაარღვევენ კანონს, აუცილებლად დაჯარიმდებიან.

***— სასამართლომდე რა შემთხვევაში მიხვალთ?***

— არ გამოვრიცხავთ, რომ სასამართლომდეც მივალთ. ასეთი ცალკეული შემთხვევები ყველგან არის. 54 სასამართლო პროცესი დაგვხდა, როცა აქ მოვედით, მათთანაც ვიმუშავეთ იმ კუთხით, რომ მორიგებით დაგვემთავრებინა მათი პრობლემა. დღეს 7 საქმეა დარჩენილი, რომელიც წარმოებაშია, დანარჩენებთან ყველასთან მოგვარდა საქმე, ყველასთან შედგა მორიგება, ყველასთან გაფორმდა ლიცენზია და ყველამ გადაიხადა თანხა. ესეც წარმატებაა, რაც ნაკლები კონფლიქტური სიტუაციები იქნება, მით მეტი ჰონორარი მოგროვდება.

***— თქვენ გარეშე შეუძლიათ იჩივლონ ავტორებმა?***

— რა თქმა უნდა, ეს მათი უფლებაა. ჩვენ ავტორებს არ ვზღუდავთ, მათ შეუძლიათ ჩვენ გარეშე იჩივლონ, აქვთ იმის უფლებაც, რომ ჩვენი ნებართვის გარეშე მისცენ ვინმეს ნაწარმოები, ან აჩუქონ ვინმეს. უბრალოდ, ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ ამ ნაწარმოებზე არ შევაგროვოთ ჰონორარი.

***— როგორ აკონტროლებთ ამა თუ იმ ავტორის სიმღერა რამდენჯერ შესრულდა?***

— ეს ლიცენზიის ერთ-ერთი პირობა და ვალდებულებაა, რომ ნებისმიერმა ლიცენზიანტმა უნდა უზრუნველყოს მათი დათვლა. თუ ჩვენ აღმოვაჩენთ, რომ მან დაარღვია ეს ვალდებულება და მოგვაწოდა მცდარი ინფორმაცია, მაშინ ჯარიმები ამოქმედდება. ეს ყველაფერი ლიცენზიაში წერია და რასაც იხდის, მისი რაოდენობა ათმაგდება. ისინი თავად გვაწვდიან ინფორმაციას და მერე ჩვენ ვანაწილებთ.

***— რა ხდება, როცა ავტორი გარდაცვლილია?***

— ასეთ შემთხვევაში მათი შთამომავალი ხდება საავტორო უფლების მფლობელი, ის წევრიანდება ჩვენთან როგორც მემკვიდრე და 70 წლის განმავლობაში ავტორის გარდაცვალებიდან, მის მემკვიდრეს აქვს უფლება, მიიღოს ჰონორარი, ამ დროის გასვლის შემდეგ, ამ ავტორის შემოქმედება ხდება როგორც სახალხო მოხმარების და მისი გამოყენება უსასყიდლოდ შეიძლება. ძალიან სასიხარულოა, რომ ავტორი გაერკვა თავის უფლებებში და ჩვენთან გაწევრიანდა. ჩვენ კი ვალდებულები ვართ, მესამე პირთან დავიცვათ ჩვენს ასოციაციაში გაწევრიანებულ ავტორთა უფლებები.

***— თუ არ არის ავტორი თქვენი ასოციაციის წევრი, მის უფლებებს ვერ დაიცავთ?***

— ჩვენ კანონით ვალდებულები ვართ, რომ შევაგროვოთ არაწევრი ავტორების ჰონორარიც. ჩვენი წევრი ავტორის შემთხვევაში ჩვენ ვალდებულები ვართ, რომ მისი სახელით ვაწარმოოთ სასამართლო პროცესი, მაგრამ არაწევრის შემთხვევაში, ამის უფლება არ გვაქვს და მან სასამართლო თავად უნდა აწარმოოს.

***— ჰონორარებს უცხოელ შემსრულებლებსაც უგროვებთ?***

— ესეც გავაგებინეთ ჩვენ ყველა მოსარგებლეს, რომ ჩვენ ვიცავთ არა მარტო ქართველი ავტორის უფლებებს, არამედ მსოფლიოს მასშტაბით დაახლოებით 3 მილიონი ავტორის უფლებას. ეს ხდება ძალიან მარტივი პრინციპის საფუძველზე — ჩვენნაირი ასოციაცია არსებობს მსოფლიოს ყველა ქვეყანაში. ჩვენ 154 ქვეყანასთან გვაქვს გაფორმებული ურთიერთწარმომადგენლობის ხელშეკრულება, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ჩვენ უნდა წარმოვადგინოთ მათი ქვეყნის ავტორების უფლებები და ისინი არიან ვალდებულებები, რომ ქართველი ავტორების უფლებები წარმოადგინონ თავიანთ ქვეყანაში. ასე ხდება, როცა ქართველი ავტორების ჰონორარი გროვდება არა მარტო საქართველოში, არამედ უცხოეთში. იაპონია, მაგალითად, მეორე ადგილზეა, რომელიც აგროვებს უცხოეთში ქართველების ჰონორარს. ასევე ვაგროვებთ საქართველოში უცხოელების ჰონორარს, ვრიცხავთ უცხოეთში და ნაწილდება მათზე. ეს ჯაჭვური რეაქციაა. ლიცენზია, რომელსაც ჩვენ გავცემთ, ის ანიჭებს მოსარგებლეს უფლებას, გამოიყენოს არა მარტო ქართველის, არამედ ნებისმიერი უცხოელი ავტორის ნაწარმოები.

# ვლადიმერ ბოისა: სლოვენიაში ევროპის ჩემპიონატზე თამაში განსაკუთრებულად მინდა“

ეროვნული ნაკრების ვეტერანმა და ერთგულმა კალათბურთელმა ვლადიმერ ბოისამ მიმდინარე სეზონის პირველი ნახევარი უგუნდოდ გაატარა. ლიტვაში გამართული ევროპის ჩემპიონატიდან დაბრუნებულმა ფორვარდმა სასურველი კლუბი ვერ მოძებნა და იანვრამდე თავის მეორე სამშობლოში, სლოვენიაში ერთ-ერთ კლუბთან ფორმის შესანარჩუნებლად, უკონტრაქტოდ ვარჯიშობდა. იანვარში ბოისას საკმაოდ კარგი გუნდის ვარიანტი გამოუჩნდა და დაუყოვნებლივ დათანხმდა ბერძნული „პანიონიოსის“ შეთავაზებას. ვოვამ უკვე 3 მატჩი ჩაატარა ახალ კლუბში და ყოველი მომდევნო შეხვედრა წინაზე შედეგიანი იყო.

ბოისას ინტერვიუ კალათბურთის ფედერაციის ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

***– გილოცავთ. გვიან, მაგრამ მაინც მონახეთ სასურველი გუნდი.***

– გმადლობთ. ძალიან კმაყოფილი ვარ, რომ ეს ვარიანტი გამომიჩნდა. საბერძნეთში საკმაოდ კარგი პირობები დამხვდა, გუნდიც ამბიციურია და ქვეყანაშიც საკმაოდ თბილა. სლოვენიასთან შედარებით აქ შესანიშნავი ამინდებია.

***– ოჯახის წევრებიც საბერძნეთში გყავთ?***

– არა, ჩემს შვილს სკოლაში სწავლა დაუმთავრდება და ყველანი ერთად ჩამოვლენ.

***– რა თქმა უნდა, საკუთარი სურვილით არ გაგიკეთებიათ, მაგრამ რატომ იყავით ახალ წლამდე უგუნდოდ?***

– განა არ მქონდა შემოთავაზებები, მაგრამ ახლა იმ ასაკში არა ვარ, რომ დაბალი ანაზღაურების სანაცვლოდ უცხო ქვეყანაში გადავიდე. მქონდა იტალიის სერია ბ-ს ვარიანტი, ასევე საბერძნეთის სუსტ გუნდებში გადასვლის შანსი, მაგრამ ვამჯობინე, სლოვენიაში, ოჯახთან ვყოფილიყავი და ევრობასკეტის შემდეგ ფორმა შემენარჩუნებინა. ვვარჯიშობდი „ჰელიოსში“, თუმცა, რა თქმა უნდა, უკონტრაქტოდ. სლოვენიურ კალათბურთში ბევრი ნაცნობი მყავს და უარი არ უთქვამთ, გუნდთან ერთად ვყოფილიყავი.

***– და ამ დროს შენი მენეჯერი სასურველ ვარიანტს ეძებდა. „პანიონიოსში“ გადასვლის შანსი როგორ გამოჩნდა?***

– რადგან ამ დროს ყველა ამბიციური გუნდი სრულადაა დაკომპლექტებული, ველოდებოდი, რომ რომელიმე გუნდში ვინმეს ტრავმა მიეღო ან მოთამაშე გაეშვათ. ერთი ეგაა, რომ ლოდინი ცოტა გახანგრძლივდა, მაგრამ საბოლოოდ სასურველი ვარიანტიც გამოჩნდა. „პანიონიოსს“ ტრავმის გამო ფორვარდი გამოაკლდა და ჩემმა აგენტმა ამ გუნდში გადასვლა რომ შემომთავაზა, დაუყოვნებლივ დავთანხმდი.

***– გუნდის მწვრთნელს ან მოთამაშეებს თუ იცნობდით?***

– პირადად „პანიონიოსის“ 2 მოთამაშეს ვიცნობ, მწვრთნელთან კი უშუალო შეხება არ მქონია, თუმცა, გიორგოს ბარცოკასზე აქამდეც მსმენოდა. ამ სპეციალისტმა კი ჩემ



შესახებ უფრო მეტი იცოდა, რადგან ევროლიგის გუნდებში უმუშავია, სადაც მე სისტემატურად ვთამაშობდი. მწვრთნელმა იცოდა, რა დონის და რა ტიპის მოთამაშე ვარ. მან ძალიან თბილად მიმიღო, ისევე, როგორც გუნდის მთელმა პერსონალმა.

***– საკითხავია, გაუმართლეთ თუ არა მწვრთნელს იმედები? „პანიონიოსში“ ხომ უკვე მესამე მატჩი ჩაატარეთ.***

– ხომ ვთქვი, რომ მწვრთნელმა იცის, თუ რას უნდა ელოდეს ჩემგან და მეც მისთვის იმედი არ გამიცრუებია. ჩემს ასაკში კალათბურთელები შეტევაზე მეტად დაცვაზე ფიქრობენ. ამის გათვალისწინებით, შემიძლია ვთქვა, რომ გუნდის ხელმძღვანელობა უკმაყოფილო არ უნდა იყოს. პირველი მატჩი ჩამოსვლიდან ორ დღეში ვითამაშე და ცხადია, ჩემგან ციდან ვარსკვლავების მოწყვეტას არავინ ელოდა. თუმცა, რაც მოედანზე ვიყავი, დაცვაში საიმედოდ გამოვიყურებოდი. მეორე და მესამე მატჩში კი უფრო კარგად ავუღე ალღო ახალ გარემოს, თანაგუნდელებთან შევთამაშდი და შეტევაშიც დამაჯერებელი ვიყავი. გასულ მატჩში 13 წუთში 7 ქულა და 4 მოხსნა მოვაგროვე, რაც კარგ შედეგად ითვლება. ამას დაცვაში თამაშიც დავუმატოთ და... ერთი სიტყვით, ყველაფერი კარგად მიდის, გუნდიც იგებს და გათამაშების ცხრილში საკმაოდ მაღლა, მეოთხე პოზიციაზე იმყოფება.

***– კონტრაქტი სეზონის ბოლომდე გაქვთ და მომავალზე აქედანვე ხომ არ ზრუნავთ?***

– თუკი გუნდმა ეს ადგილი შეინარჩუნა და პლეი ოფშიც კარგად გამოვედით, დიდი შანსია, მომდევნო სეზონშიც აქ დავრჩე, თუმცა ჩემს ასაკში ყველაფერია მოსალოდნელი. ვნახოთ, რა იქნება, ის კი ვიცი, რომ კარიერისთვის თავის დანებება ჯერ ადრეა. მაღალ დონეზე თამაში ჯერაც შემიძლია, ხოლო 34 წლის რომ გავხდები, მერე კი შეიძლება დაბალ ლიგებში გადასვლა და ნელ-ნელა კარიერის დასრულებაზე ფიქრი.

***– ეროვნული ნაკრების შესახებ რას ფიქრობთ? ზაფხულში ხომ ევრობასკეტ 2013-ის შესარჩევი ტურნირია.***

– ნაკრებში თამაშზე უარი არასდროს მითქვამს და წლების მანძილზე ერთგულად ვემსახურე ჩვენს ეროვნულ გუნდს. თუკი გამომიძახებენ და საჭიროდ ჩათვლიან, რომ გუნდში უნდა ვიყო, უარის თქმა ძალიან გამიჭირდება.

***– და რატომ უნდა თქვათ უარი?***

– უარის თქმას არც ვაპირებ. მე პატივს ვცემ ნაკრების მწვრთნელსა და საქართველოს კალათბურთის ფედერაციის ხელმძღვანელებს. უბრალოდ, იმის თქმა მინდა, რომ ამ ეტაპზე უმჯობესი იქნება, ნაკრებს კლუბთან კონტრაქტის გაფორმების შემდეგ შევუერთდე ანუ ჯერ გუნდი მოვნახო და ნაკრების შეკრებაზე მერე გამოვცხადდე. ეროვნულ გუნდში თამაშის გამო წარსულში ჩემით არაერთი გრანდი დაინტერესებულა და ავუყვანივარ კიდეც, მაგრამ ახლა სხვა დროა. მხოლოდ იმის გამო, რომ ქვეყნის ნაკრებში თამაშობ, გარანტირებულად არავინ აგიყვანს, მით უფრო, ჩემი ასაკის კალათბურთელს. თუ უშუალოდ არ გნახეს, მათთან შეკრება არ გაიარე, კარგ კლუბს ვერ მოძებნი. ამიტომაც, ვფიქრობ, რომ ჯერ გუნდი მოვნახო, კონტრაქტი გავინაღდო და მერე შევუერთდე ნაკრებს. შესაძლოა, მსურველი უმალვე გამოჩნდეს ან კლუბის მოძებნა ცოტა გაჭიანურდეს. არ მინდა, მომავალ წელსაც ისეთივე სიტუაციაში აღმოვჩნდე, როგორშიც წლეულს ვიყავი. ისე კი, მომავალ ევროპის ჩემპიონატზე თამაში განსაკუთრებით მინდა, რადგან 2013 წელს კონტინენტის პირველობა სლოვენიაში იმართება.

***– როგორ ფიქრობთ, საქართველოს მომავალ ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრა გაუჭირდება?***

– ჩემი აზრით, შესარჩევ ჯგუფიდან გასვლა სავსებით რეალურია. საქართველოს ნაკრები ჯგუფის ფავორიტია და ვფიფრობ, თბილისში ყველა მატჩს მოიგებს. აი, გასვლაზე კი საკმაოდ ძნელი თამაშები გველის. რუმინეთში არ უნდა გაგვიჭირდეს, თუმცა დანარჩენ მეტოქეებთან სტუმრად თამაში ურთულესი იქნება. საკმარისია, საშინაო თამაშებთან ერთად 2 გასვლითი შეხვედრაც მოვიგოთ და სლოვენიის საგზურს გავინაღდებთ, რაც, ჩემი აზრით, ძალიან რეალურია.

# ალექს გარსია: ევროტურნირებზე ძლიერ გუნდებთან კონკურენცია მალე უნდა მოვახერხოთ“

თბილისის „დინამომ“ ზამთრის მოსამზადებელი ეტაპის პირველი ნახევარი ბარსელონაში გაიარა. არც ის არის ვინმესთვის უცხო, რომ დინამოელთა მთავარი მწვრთნელი ალექს გარსია ესპანელია და ერთ-ერთი გრანდის, „ბარსელონას“ ახალგაზრდული გუნდის მწვრთნელი იყო. აქედან გამომდინარე, გასაკვირი არაფერია, რომ სამშობლოში ჩასული გარსიათი იქაური ჟურნალისტები დაინტერესდნენ.

გარსიას პოპულარული ესპანური გამოცემა „მარკას“ ჟურნალისტი ესაუბრა.

***– როგორ მოხვდით „დინამოში“?***

– „დინამოს“ გენერალური დირექტორი ზურაბ პოლოლიკაშვილი დამიკავშირდა. მასზე ინფორმაცია მქონდა, ვიცოდი, როგორ მუშაობდა. ჩვენ რამდენჯერმე შევხვდით, დავილაპარაკეთ და საბოლოოდ შეთანხმებას მივაღწიეთ.

***– როდესაც კონტრაქტი გააფორმეთ, პირველი რეაქცია როგორი იყო და რა გაიფიქრეთ?***

– ძირითადად ვფიქრობდი ქალაქზე, ხალხზე, კლუბსა და მის პერსონალზე... ნორმალურია ამაზე ფიქრი, როცა უცხოეთში მიდიხარ სამუშაოდ.

***– თქვენთან ერთად სხვა ესპანელი მწვრთნელებიც არიან. რა როლი აკისრიათ მათ?***

– მარკ ჰუგეტი ჩემი ერთ-ერთი თანაშემწეა, ანდრეს კარასკო კი კლუბის საფეხბურთო აკადემიის კოორდინატორი გახლავთ.

***– რა საფეხბურთო პროექტი გაქვთ „დინამოში“?***

– პროექტის მიზანია პროფესიონალური სტრუქტურის ჩამოყალიბება და ყველა გუნდის ერთიან სისტემაში მოქცევა – როგორც ვთამაშობთ, ისევე ვვარჯიშობთ. კლუბი სამი მიმართულებით იყოფა – ძირითადი გუნდი, ახალგაზრდული გუნდები და ტექნიკური სამდივნო. ვთამაშობთ 4-3-3 სქემით, რაც თავისთავად შეტევაზეა ორიენტირებული. რაც მე თბილისში ჩავედი, „დინამოში“ ოთხი გუნდი შეიქმნა. ახალგაზრდული გუნდებიც მთავარი „დინამოს“ იდენტური სქემით თამაშობენ.

***– რა იყო პირველი, რის შეცვლასაც ცდილობდით?***

– როგორ გვეთამაშა და გვევარჯიშა. ჩვენ კლუბისთვის საკუთარი სახის მიცემა გვსურს. გვსურს, რომ ფეხბურთის ყველა მოყვარულმა იცოდეს, თუ როგორი საფეხბურთო შეხედულება აქვს „დინამოს“.

***– ეს ალბათ რთულია.***

– როდესაც უცხო ქვეყანაში რამის შეცვლა გსურს, რა თქმა უნდა... ყველაზე რთული მენტალიტეტის, ანუ როგორც ფეხბურთში ეძახიან, ჩიპის შეცვლაა.

***– როგორ მიდის „დინამოს“ საქმეები ამ სეზონში?***

– კარგად დავიწყეთ ევროპის ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე, პლეი ოფში მოვხვდით და საბერძნეთის აეკ-თან დამატებით დროში გავვარდით. რაც შეეხება ეროვნულ ჩემპიონატს, ჩვენ არ ვართ იმ ადგილზე, სადაც რეგულარულად ყოფნა გვსურს.

***– „დინამოს“ რომელ ფეხბურთელებს გამოარჩევთ?***

– ერთზე ვიტყვი, ჩვენს მეკარეზე. გიორგი ლორია საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრია. ვფიქრობ, მას ევროპის ნებისმიერ ძლიერ ლიგაში შეუძლია თამაში.

***– როგორია საფეხბურთო ცხოვრება საქართველოში?***

– როგორც სხვა ქვეყნებში – ფეხბურთი ხალხს უყვარს.

***– საქართველოს ჩემპიონატს რა პოტენციალი აქვს?***

– როცა საქართველო რუსეთისგან დამოუკიდებლად გავიდა, დაბალი დონის ლიგად იქცა. თუმცა, საკმაოდ კონკურეტუნარიანი ჩემპიონატია, ეგაა, ევროპიდან ნაკლებ ყურადღებას აქცევენ და ნაკლებად იციან.

***– თქვენი მიზანი „დინამოში“?***

– მიზანი მთლიანი სტრუქტურის შექმნაა. კარგი ბაზაა, მშვენიერი პირობებია და „დინამოს“ ისეთ გუნდად ჩამოყალიბებად შეიძლება, რომელიც აღმოსავლეთ ევროპაში გამწევი ძალა იქნება. უახლოესი მიზანი ჩემპიონატის მოგება და პლუსი, რაც შეიძლება მალე უნდა მოვახერხოთ ევროტურნირებზე ძლიერ გუნდებთან კონკურენცია.

# უშეცდომო დებიუტი

ის ჯერ მხოლოდ 18 წლისაა და მასზე საქებარი სიტყვების გარდა არაფერი გვესმის. მითხარით, რომელი ფეხბურთელისთვის იქნება ადვილი უმაღლეს ლიგაში ჯერ კიდევ 17 წლის ასაკში სადებიუტო შეხვედრა რუსთავის „მეტალურგის“ წინააღმდეგ ჩაატარო და უშეცდომო იყო?

საუბარია გიორგი ჯგერენაიაზე, რომელთან ინტერვიუც საფეხბურთო კლუბ „გაგრას“ ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

***– გიორგი, მოდით, თავდაპირველად თქვენ შესახებ მოგვიყევით.***

– როსტოვის მხარეში დავიბადე, ახალი წლის დადგომამდე სულ რაღაც სამი დღე იყო დარჩენილი, ახლა 18 წლის ვარ. 9 წლის ვიყავი, როდესაც მშობლებთან ერთად მოსკოვში გადმოვედი და სწორედ იქ გამიჩნდა ფეხბურთის მიმართ ინტერესი. 11 წლის ვიყავი, ფეხბურთზე რომ შევედი, ჩემი პირველი გუნდი კი „ნორჩი დინამო“ გახლდათ. შემდეგ საფეხბურთო კლუბი „მოსკვა“ დაინტერესდა ჩემით და იქ ვიყავი მანამ, სანამ საქართველოში არ გადმოვედი საცხოვრებლად. ჯერ იყო და ქუთაისის ერთ-ერთ გუნდში ვვარჯიშობდი, შემდეგ თბილისში წამოვედით. თენგიზ სულაქველიძის სახელობის აკადემიაში დავიწყე ვარჯიში. მალე სინჯების გასავლელად „ვიტ ჯორჯიაში“ მოვედი და ყველაფერი კარგად იყო, მაგრამ, მოხდა ისე, რომ ფეხბურთი და სწავლის ერთად შეთავსება გამიჭირდა. სწავლა ვარჩიე. გავიდა ცოტა ხანი, აკადემიიდან მწვრთნელმა დამირეკა და დაბრუნება შემომთავაზა. სიამოვნებით დავთანხმდი. შემდეგ ცხინვალის „სპარტაკში“ სინჯებზე მივედი. აქ კი აღარ გამიმართლა და ვერ დავრჩი,...გავბრაზდი და მივიღე გადაწყვეტილება, რომ ფეხბურთზე აღარ მეფიქრა, მხოლოდ მესწავლა. მაგრამ, ღვთის ნებით, ერთ-ერთ ბოლო ვარჯიშს ლერი გაბესკირია დაესწრო, მოვიდა და „გაგრაში“ მიმიყვანა, სადაც დღემდე ვთამაშობ და ბედნიერი ვარ. ამ გუნდმა ჩემი ცხოვრება შეცვალა. მადლობა „გაგრასა“ და ლერი გაბესკირიას.

***– თქვენ „გაგრაში“ მიხვედით, მაგრამ თავდაპირელად პირველ გუნდში ვერ მოხვდით.***

– როდესაც „გაგრაში“ სინჯები გავიარე, 18 კაცში ვერ ვხვდებოდი, მაგრამ გუნდში დავრჩი. დუბლშემადგენლობაში ვიყავი. დუბლში „დინამოს“ წინააღმდეგ გვქონდა თამაში, სადაც კარგად ვითამაშე და საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების შეკრებაზე მიხმეს. როდესაც ნაკრების შეკრებიდან დავბრუნდი, ზვიად ჯელაძემ არათუ 18-კაციან განაცხადში შემიყვანა, ძირითად შემადგენლობაში მათამაშა რუსთავის „მეტალურგის“ წინააღმდეგ.

***– და დღემდე ძირითადში ხართ.***

– დიახ, ასეა.

***– სადებიუტო შეხვედრაში რუსთაველების წინააღმდეგ არ ნერვიულობდით?***

– გასახდელში ცოტას ვღელავდი,...მაგრამ მწვრთნელმა დარიგებები მომცა, დამაწყნარა და მეც თამაშის დაწყებიდან რამდენიმე წუთში დავწყნარდი, თანაც ამ დროს გუნდი დაწინაურდა, ვიგებდით და უფრო თამამად ავთამაშდი.

***– „გაგრა“ რვა საუკეთესო გუნდში მოსახვედრად იბრძვის. აქვს ამის შანსი?***

– შანსი ყოველთვის არის. მთავარია, სათანადოდ განეწყო მომავალი თამაშებისთვის, კარგად მოემზადო და მინდორზე ბოლომდე დაიხარჯო.

***– რას იტყვით „გაგრას“ შესახებ?***

– ახალგაზრდა გუნდი ვართ, მებრძოლი და მონდომებული. ჩვენი დამარცხება ადვილი სულაც არაა. პერსპექტიული გუნდია, ჩვენს სიტყვას აუცილებლად ვიტყვით. კმაყოფილი ვარ, „გაგრაში რომ მოვხვდი.

***– ალბათ, „გაგრამ“ თასი რომ აიღო, იფიქრეთ კიდევაც, ნეტავ ამ გუნდში მათამაშაო.***

– „გაგრას“ ფინალური თამაში ვნახე და რომელი ფეხბურთელი იტყოდა უარს, ეთამაშა საქართველოს თასის მფლობელი გუნდის შემადგენლობაში?

***– გიორგი, თქვენ 19-წლამდელთა ნაკრებში კი იყავით გამოძახებული, მაგრამ შესარჩევ ეტაპზე თამაში არ მოგიწიათ.***

– სანამ გუნდი შესარჩევი შეხვედრების ჩასატარებლად გაემგზავრებოდა, რამდენიმე დღით ადრე ცუდად გავხდი, ველარ ვვარჯიშობდი და ეს იყო მიზეზი იმისა, რომ ნაკრებში ველარ ვითამაშე. გული დამწყდა, მაგრამ, რას ვიზამთ, ასე მოხდა.

***– მაგრამ ნაკრებში თამაში თქვენი ოცნებაა.***

– ყველა ფეხბურთელის ოცნებაა, ითამაშოს თავისი ქვეყნის ნაკრებში.

***– კიდევ რა არის თქვენი ოცნება?***

– გავხდე წარმატებული ფეხბურთელი, შევქმნა ოჯახი და უზრუნველყოფილი მყავდეს.

***– ფეხბურთში?***

– ძალიან მინდა, რომელიმე ტიტულოვან ევროპულ კლუბში მოვხვდე.

***– მაგალითად?***

– რუსეთის პრემიერლიგა ძალიან მომწონს. დიდი სიამოვნებით ვითამაშებდი მოსკოვის „სპარტაკში“ ან ცსკა-ში.

***– „რეალი“ თუ „ბარსელონა“?***

– მაინც „რეალი“...

***– „მილანი“ თუ „ინტერი“?***

– „მილანი“.

***– „მანჩესტერ იუნაიტედი“ თუ „არსენალი“?...***

– მხოლოდ „არსენალი“.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# ბარაკ ობამა: ამერიკა დაბრუნდა“

ბარაკ ობამა 2013 წელს საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებას აპირებს. ამის შესახებ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ტელეკომპანია „ეი-ბი-სისთვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა.

ქვეყნის პირველმა პირმა თქვა, რომ ახლა ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესი მმართველობის სწორი კურსის შენარჩუნებაა, რისთვისაც შემდეგ საპრეზიდენტო არჩევნებში მისი გამარჯვებაა აუცილებელი. მან „რესპუბლიკელ“ ოპონენტებს წარუმატებელი პოლიტიკური ფილოსოფიის მიმდევრები უწოდა და ისიც თქვა, რომ უნაკლო პრეზიდენტი არც თავად ყოფილა.

— მე შეცდომებს ხშირად ვუშვებ. თუმცა, ეჭვი არ მაქვს, რომ ახლა უკეთესი პრეზიდენტი ვარ, ვიდრე იმ დღეს, როდესაც თეთრ სახლში პირველად შევედი, — განაცხადა ბარაკ ობამამ ინტერვიუში.

ბარაკ ჰუსეინ ობამა უმცროსი (დ. 4 აგვისტო, 1961) — აშშ-ის პრეზიდენტია 2009 წლის 20 იანვრიდან. ყოფილი უმცროსი სენატორი ილინოისიდან და 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში წამყვანი კანდიდატი დემოკრატთა ნომინაციით. პირველი შავკანიანი პრეზიდენტი აშშ-ის ისტორიაში; ასევე აშშ-ის სენატის ისტორიის განყოფილების თანახმად, ის მეხუთე აფრიკელი-ამერიკელი სენატორია აშშ-ის ისტორიაში, მესამე, რომელიც სახალხოდ აირჩა და ერთადერთი აფრიკელი-ამერიკელი, რომელიც 2008 წლისთვის მსახურობდა სენატში. 2007 წლის თებერვალში საპრეზიდენტო კამპანიის დაწყებიდან ობამა აქცენტს აკეთებს ერაყში ომის დასრულებაზე, ენერგოდამოუკიდებლობის გაზრდასა და საყოველთაო ჯანდაცვაზე, როგორც უმთავრეს პრიორიტეტებზე.

## ბიოგრაფია

ბარაკ ჰუსეინ ობამა-უმცროსი დაიბადა 1961 წლის 4 აგვისტოს ჰავაის შტატის დედაქალაქ ჰონოლულუში. მისმა მშობლებმა ერთმანეთი ჰავაის უნივერსიტეტში გაიცნეს.

მამა — ბარაკ ჰუსეინ ობამა-უფროსი — შავი კენიელია, ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩამოვიდა ეკონომიკის შესასწავლად. დედა — სტენლი ენ დანჰემი — თეთრი ამერიკელია. ის სწავლობდა ანთროპოლოგიას.

როდესაც ბარაკი ჯერ კიდევ ჩვილი იყო, მამამისი გაემგზავრა ჰარვარდში სწავლის გასაგრძელებლად, მაგრამ ხელმოკლეობის გამო ოჯახი თავისთან არ წაუყვანია. როდესაც შვილს ორი წელი შეუსრულდა, ობამა უფროსი კენიაში გაემგზავრა, სადაც მთავრობის აპარატში მიიღო ეკონომისტის თანამდებობა. ის ცოლს გაეყარა.

როდესაც ბარაკი 6 წლისა იყო, ენ დანჰემი ხელმეორედ გათხოვდა, კვლავ უცხოელ სტუდენტზე, ამჯერად — ინდონეზიელზე. დედასთან და გერ დასთან და მამობილ ლოლო სოეტოროსთან ერთად ბიჭი გაემგზავრა ინდონეზიაში, სადაც ოთხი წელი გაატარა. ის სწავლობდა ერთ-ერთ სახელმწიფო სკოლაში.

შემდეგ დაბრუნდა ჰავაიში, ცხოვრობდა დედის მშობლებთან. 1979 წელს დაამთავრა პუნაჰაოუს კერძო პრივილეგირებული სკოლა ჰონოლულუში. ეს სკოლა ამაყობდა თავისი ცნობილი მოსწავლეებით — მსახიობებითა და ათლეტებით. სკოლის წლებში ობამა კალათბურთელი იყო. 1979 წელს მან პუნაჰაოუს გუნდის შემადგენლობაში მოიპოვა შტატის ჩემპიონის ტიტული.

იმავე წელს ბარაკ ობამამ დაამთავრა სკოლა და ამჟამად უკავია ერთ-ერთი საპატიო ადგილი ამ სკოლის ცნობილ მოსწავლეთა შორის.

1995 წელს გამოქვეყნებულ მემუარებში თავად ობამა იხსენებდა, რომ სკოლის უფროს კლასებში ის იყენებდა მარიხუანასა და კოკაინს, მისი წარმატებულობაც კი შემცირდა.

სკოლის შემდეგ ობამა სწავლობდა ლოს-ანჯელესის დასავლეთის სკოლებში, შემდეგ გადავიდა კოლუმბიის უნივერსიტეტში, რომელიც 1983 წელს დაამთავრა, საიდანაც იწყება მისი პოლიტიკური და საზოგადოებრივი მოღვაწეობა.

1983 წელს ბაკალავრის ხარისხით ბარაკ ობამა მუშაობას იწყებს კორპორაციის დიდ საერთაშორისო ბიზნესში, როგორც საფინანსო ინფორმაციის რედაქტორი. ობამამ აქ იმუშავა ერთი წელი, ეს იყო მისი პირველი სამსახური კოლეჯის დამთავრების შემდეგ.

ამის შემდეგ, 1985 წელს, ის დასახლდა ჩიკაგოში და დაიწყო მუშაობა ერთ-ერთ საეკლესიო საქველმოქმედო ჯგუფში. „სოციალური ორგანიზატორის“ სახით ის ეხმარებოდა ქალაქის არაკეთილსაიმედო რაიონების მცხოვრებლებს. სწორედ იმ საქველმოქმედო მუშაობამ აიძულა იგი გაეგო, რომ ადამიანების ცხოვრების გასაუმჯობესებლად საჭიროა ცვლილებები კანონმდებლობასა და პოლიტიკაში.

1988 წელს ობამა შევიდა ჰარვარდის უნივერსიტეტის სამართლის სკოლაში, სადაც 1990 წელს გახდა უნივერსიტეტის გამომცემლობის პირველი შავკანიანი რედაქტორი. ჰარვარდში ეს მისი ყველა წარმატება როდია.

გაზეთი „ნიუ იორკ ტაიმსი“ ახალ ამბებში წერს, რომ ობამა გახდა იურისტების ჰარვარდის კლუბის პირველი შავკანიანი პრეზიდენტი. დაიწყო იურიდიული პრაქტიკა, ძირითადად სასამართლოში იცავდა დისკრიმინაციის სხვადასხვა სახეობათა მსხვერპლს. ამას გარდა, ობამა მუშაობდა დემოკრატიული პარტიის შტაბში, ჩიკაგოს უნივერსიტეტში ასწავლიდა საკონსტიტუციო სამართალს, მუშაობდა საარჩევნო უფლების საკითხებზე პატარა ფირმაში. ობამამ სახელი გაითქვა, როგორც ლიბერალმა, რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ მებრძოლმა, საყოველთაო სამედიცინო დაზღვევის სისტემის მომხრემ.

1993 წელს ბარაკ ობამა იწყებს ჩიკაგოს უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ლექციების კურსის კითხვას თემაზე „საკონსტიტუციო უფლებები“. აქ ობამამ იმუშავა 2004 წლამდე, ამერიკის შეერთებულ შტატების სენატში არჩევნებამდე ერთი წლით ადრე.

1995 წელს ობამა წერს და აქვეყნებს თავის პირველ წიგნს „მამისგან მემკვიდრეობით მიღებული ოცნებები“. ამ წიგნმა მომავალ სენატორს დიდება მოუტანა.

1996 წელს ობამა იმარჯვებს ილინოისის შტატის სენატის არჩევნებში. შემდგომში, სენატორის მუშაობის შესახებ პოლიტიკური მიმოხილვის დროს გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი“ აღნიშნავს ობამას უნარს — გააერთიანოს მუშაობაში ურთიერთდაპირისპირებული დემოკრატიული და რესპუბლიკური პარტიები.

ობამას პოლიტიკური კარიერა დაიწყო ილინოისის შტატის სენატში, სადაც იგი 8 წლის განმავლობაში წარმოადგენდა დემოკრატიულ პარტიას.

2000 წელს ობამა შეეცადა, კენჭი ეყარა წარმომადგენელთა პალატის არჩევნებში, მაგრამ წააგო მოქმედ შავკანიან კონგრესმენთან ბობი რაშუსთან.

შტატის სენატში ობამა თანამშრომლობდა როგორც დემოკრატებთან, ისე რესპუბლიკელებთან. ობამა გამოდიოდა, როგორც სკოლამდელი განათლების აქტიური მომხრე. ის მხარს უჭერდა კონტროლის გამკაცრებას საგამოძიებო ორგანოების მუშაობაზე.

2002 წელს ობამამ დაგმო ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციის გეგმა ერაყში შეჭრასთან დაკავშირებით.

2004 წელს ობამა ჩაერთო ბრძოლაში ამერიკის შეერთებული შტატების სენატში არჩევნებისთვის ილინოისის შტატისაგან ერთ-ერთ ადგილზე. პრაიმერიზში მან მოიპოვა დამაჯერებელი გამარჯვება 6 ოპონენტთან.

ობამას შანსები წარმატებებზე გაიზარდა, როდესაც მისი რესპუბლიკელი ოპონენტი იძულებული გახდა, უკან წაეღო თავისი კანდიდატურა.

2004 წლის 29 ივლისს წინასაარჩევნო კამპანიის დროს ობამა გამოვიდა მიმართვით დემოკრატიული პარტიის ეროვნული ყრილობისადმი. მისმა სიტყვამ, რომელიც გადაიცემოდა ტელევიზიით, ობამას ფართო პოპულარობა მოუტანა ამერიკის შეერთებულ შტატებში.

სენატორობის კანდიდატი მოუწოდებდა მსმენელებს, დაბრუნებოდნენ ამერიკული საზოგადოების ფესვებს და კვლავ გადაექციათ ამერიკის შეერთებული შტატები „ღია შესაძლებლობათა“ ქვეყნად: ღია შესაძლებლობათა იდეალს ის წარმოადგენდა საკუთარი და მამის ბიოგრაფიების მაგალითზე.

სენატის არჩევნებში ობამამ დიდი უპირატესობით (70 პროცენტი 27-თან) გაიმარჯვა რესპუბლიკელ ალან კეიესთან. თავისი მოვალეობის შესრულებას ის შეუდგა 2005 წლის 4 იანვარს და გახდა ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიაში მეხუთე აფროამერიკელი სენატორი.

ობამა შევიდა რამდენიმე კომიტეტის შემადგენლობაში.

როგორც შტატის სენატში, ობამა მთელ რიგ საკითხებში თანამშრომლობდა რესპუბლიკელებთან, კერძოდ, კანონმდებლობაზე მთავრობის საქმიანობის გამჭვირვალობის შესახებ.

ამას გარდა, ცნობილ სენატორ რესპუბლიკელთან რიჩარდ ლუგართან ერთად ობამა იყო რუსეთში: ეს მოგზაურობა მიეძღვნა თანამშრომლობას მასობრივი განადგურების იარაღის გაუვრცელებლობის დარგში. მთლიანად ობამა ხმას აძლევდა სენატში დემოკრატიული პარტიის ლიბერალური ხაზის შესაბამისად. განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ენერგიის ალტერნატიული წყაროების განვითარების იდეას.

სენატორმა ობამამ შეძლო, არაჩვეულებრივად მოკლე ვადებში მოეპოვებინა პრესის სიმპათიები და გამხდარიყო ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ფიგურა ვაშინგტონში. 2006 წლის შემოდგომისთვის მეთვალყურეებს უკვე სავსებით შესაძლებლად მიაჩნდათ იგი უახლოეს საპრეზიდენტო არჩევნებში დასასახელებლად.

2007 წლის დასაწყისში ობამა სენატორ ჰილარი კლინტონის შემდეგ მეორე აღმოჩნდა დემოკრატიული პარტიის ფავორიტების სიაში.

იანვარში ობამამ შექმნა შეფასების კომიტეტი საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობისთვის მზადებასთან დაკავშირებით.

2007 წლის თებერვლის დასაწყისის მონაცემებით, ობამასთვის მხარდასაჭერად მზად იყო დემოკრატების 15 პროცენტი, კლინტონისა კი — 43 პროცენტი.

2007 წლის ივნისის დასაწყისის მონაცემებმა გადააჭარბეს ობამას მომხრეთა ყველაზე ოპტიმისტურ პროგნოზებსაც კი. სხვაობა შეადგენდა სულ რაღაც 3 პროცენტს ჰილარი კლინტონის სასარგებლოდ.

2007 წლის იანვარში ობამა სკანდალურ ბრალდებას გადაეყარა. პრესაში გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ინდონეზიაში ცხოვრების



დროს იგი თითქოს სწავლობდა ისლამურ სკოლა-მედრესეში, სადაც ასწავლიდნენ ვაჰაბიტების რადიკალური მუსლიმანური სექტის წარმომადგენლები. ეს ბრალდებანი უარყოფილ იქნა, მაგრამ მათ დატოვეს მნიშვნელოვანი ნეგატიური კვალი ობამას დახასიათებაზე.

ილინოისის შტატის ქალაქ სპრინგფილდში 10 თებერვალს ობამამ გამოაცხადა, რომ ებმება საპრეზიდენტო რბოლაში. გამარჯვების შემთხვევაში ის ჰპირდებოდა ამომრჩევლებს, რომ 2009 წლის მარტისთვის გამოიყვანდა ამერიკის ჯარებს ერაყიდან.

ერაყის კომპანიასთან ერთად მან გააკრიტიკა ბუშის ადმინისტრაცია არასაკმარისი წარმატებისთვის ნავთობის მიწოდების დამოკიდებულებასთან და განათლების სისტემის განვითარებასთან დაკავშირებით.

მალე, 13 თებერვალს, მომდევნო მიტინგზე, რომელიც აიოვას შტატში მიმდინარეობდა, ობამა წინდაუხედავად მოიქცა. ერაყის პოლიტიკის კრიტიკის დროს მან აღნიშნა, რომ ერაყში დაღუპული ამერიკელი სამხედროების სიცოცხლე იყო „ამაოდ დაკარგული“. მას ამის გამო არაერთგზის მოუწია ბოდიშის მოხდა და განმარტება, რომ სწორად ვერ გამოთქვა თავისი აზრი.

2007 წლის თებერვალში ობამას მხარი დაუჭირა ერთ-ერთი კინოკომპანიის დამფუძნებელმა დევიდ გეფინმა. გეფინმა განაცხადა, რომ ჰილარი კლინტონი მეტად სადავო ფიგურაა და იგი ვერ შეძლებს ამერიკელთა გაერთიანებას ქვეყნისთვის მძიმე დროს.

სხვა ცნობილ ჰოლივუდელებთან ერთად გეფინმა გამართა აქცია შემოწირულობათა შესაკრებად ობამას სასარგებლოდ — შეგროვილმა თანხამ 1,3 მილიარდი დოლარი შეადგინა.

ერთ-ერთი მტკივნეული ადგილი ობამა-კანდიდატისთვის გახდა საკითხი მისი აფრო-ამერიკული წარმომავლობის შესახებ. როგორც აღმოჩნდა, შავკანიანი მოსახლეობის ზოგიერთი წარმომადგენელი, მათ შორის ამ უმცირესობათა ყველაზე გავლენიანი წარმომადგენელი, არ ჩქარობდა ობამას აღიარებას თავისად.

